# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 33 ოთხშაბათი. 4 ენკენისთვე 1918 წ. № 33


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.




გამოვიდა და იყიდება

პირველი ქართული ლატარიის 5.000.000 მანეთის

# ბილეთები

რომლის წმინდა შემოსავალიც გადადებულია ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისათვის.

# პირობები:

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდა ხუთი მანეთი ღირს. კუპონი ხუთი მანეთი,

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 100.000 მან. | 100.000 | მან. |
| 1 | „ | 50.000 | „ 50.000 | „ |
| 1 | „ | 25.000 | „ 25.000 | „ |
| 2 | „ | 10.000 | „ 20.000 | „ |
| 3 | „ | 5.000 | „ 15.000 | „ |
| 5 | „ | 1.000 | „ 5.000 | „ |
| 50 | „ | 500 | „ 25,000 | „ |
| 180 | „ | 250 | „ 45.000 | „ |
| 2150 | „ | 100 | „ 215.000 | „ |

სულ 2393 მომგებიანი ბილეთი 500.000 მან.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, უმაღლესი მთავრობისა, თბილისის ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება «საქართველოს რესპუბლიკაში». ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ლატარიის გამგეობაში, თბილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

## ბილეთები იყიდება

### თბილისში:

ამიერ-კავკასიის ბანკში, სააგრარ-მამულო ბანკში, ვოლგა-კამის ბანკში — ლორის-მელიქის ქუჩაზე.

სამეურნეო ბანკში, სასახლის ქუჩაზე.

კოოპერატივ «მეურნეში», პუშკინ. ბაღთან, ძველი სემინარიის შენობაში.

«კომერსანტი»-ს მაღაზიაში, გოლოვინის პრ. № 10.

წ.-კ. საზ.-ს მაღაზიაში, მსახიობთა კავშირის კანტორაში, ყველა ქართულ რედაქციებში და კიკნაძის წიგნის მაღაზიაში.

აფთიაქებში: ახვლედიანის, რუტოვის და ქალაქისა.

„ბლან ე ნუარ“-ში, „კახეთი“-ს და „საფრო“-ს კანტორებში, „კაფე დე ლოპერა“-ში, „მეურ ნუგეში“, „ქართლი“-ს და „იმედი“-ს რესტორანებში.

პროვინციის მისამართები ცალკე იქნება გამოცხადებული.

### გაფრთხილება მყიდველთ:

ნაყიდ ბილეთს არაფერი არ უნდა ჩამოეჭრას! ყოველივე ცნობებისა და საქმისათვის უნდა მიმართონ ლატარიის გამგე-დირექტორს სოლომონ ახვლედიანს.

ლატარიის გამგეობა იმყოფება გოლოვინის პრ. № 34, ღიაა დილის 10—3 სამდე. ტელეფონი, 8—28 ან 6—40. საღამოს ტელეფონი 15—17.

დროებითი კანტორა—სასახლის ქ. № 5.

თბილისის ქალაქის მილიციის წევრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ძვირფას და პატივცემულ ამხანაგის, მე-6 კომისარიატის უფროს მილიციონერის

# ნიკოლოზ ყიფიანის

30 აგვისტოს ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები დანიშნულია სამშაბათს და ოთხშაბათს საღამოს 8 საათზე მიცვალებულის ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 50. ცხედარს გამოასვენებენ 5 სექტემბერს 9 საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება დიდუბის ეკლესიის გალავანში. 2—2

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
# ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, რისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

50—7

## სიღნაღის მაზრის ერობის შემომღები კომიტეტი

აცხადებს, რომ მთელს მაზრაში საერობო არჩევნები მოხდება ენკენისთვის 15. სულ ასარჩევია 43 ხმოსანი. მაზრა გაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად და ამრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ასარჩევია: 1) ქვემო მაჩხაანის რაიონში 17 ხმოსანი; 2) გურჯაანის მხარეს 10 ხმ.; 3) ქოდალოს რაიონში 6 ხმ.; 4) ლაგოდეხის რაიონში 6 ხმ. და 5) ქ. სიღნაღში 4 ხმ. სახმოსნო კანდიდატების სია უნდა წარმოდგენილ იქმნას ქ. სიღნაღში, მაზრის ერობის შემომღებ კომიტეტში არა უგვიანეს ენკენისთვის 5-სა.

სიღნაღის მაზრის საერობო კომიტეტი.

5—4

არსდება ამხანაგობა სახელწოდებით

## «კავკასიის საზოგადოება მანუფაქტურის წარმოებისა»

ძირითადი თანხა 2,500,000 მან. წევრებათ ჩაწერა და აგრეთვე მიწოდება ყოველივე ცნობებისა ხდება გოლოვინის პროსპექტზე № 10 კანტორა „კომერსანტ“ დილ 9 საათ. ნაშუად. 2 საათ. და საღამოს 6—9 საათამდე. პროვინციებში გაიგზავნება საგანგებო პირი, თუ წინასწარ შესაფერი ცნობა მოვა ტელეგრამით მსურველებიდან. 4—3

## განცხადება

განათლების სამინისტრო ამით აცხადებს მშობლებთა საყურადღებოთ, რომ თბილისის ქალთა ინსტიტუტის დახურვის გამო, ინსტიტუტის მოწაფეები უეგზამენოდ მიიღებიან არსებულ ქალთა სახელმწიფო გიმნაზიების ყველა კლასში.

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

29 აგვისტო, 1918 წ.

№ 35.

დანიშნულ იქმნენ: ამა წლის 29 აგვისტოდან უფროსი მენიხრე ს. კირილოვი, ყოფილი კერძო მამულების ტყეთა მიმღები გორის მეორე კომისიის თავმჯდომარედ.

ტყის საქმეთა გამგე ნ. ვ. ნაუმოვი—ყოფილი კერძო მამულების ტყეთა მიმღები გორის მეორე კომისიის ტეხნიკოსად.

31 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 36.

დანიშნულ იქმნენ: ამა წლის 1 სექტემბრიდან შტატ გარეშე თბილისის სასამართლო პალატის ყოფილი წევრი ვასილი ივანეს ძე ლუგოვოი მიწათ მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტის თანაშემწის თანამდებობაზე. ბოტანიკი თბილისის ბოტანიკურ ბაღისა დ. ი. სასნოვსკი ამავე ბაღის მთავარ ბოტანიკის თანამდებობაზე ამა წლის 1 სექტემბრიდან.

დათხოვნილ იქმნენ: მიწათ-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტის თანაშემწე ქ. ე. ნინიძე თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თხოვნის თანახმად ამა წლის 1 სექტემბრიდან.

სოჭის საბაღო და სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურის მებაღე ა. ი. ჩერეპნინი ამა წლის 1 სექტემბრიდან სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

უმცროსი აგრონომი ვაწაძე განთავისუფლებულია ერთი თვით ამა წლის 1 სექტემბრიდან.

მიწათ მოქმედების მინისტრის მაგიერ პ. გელეიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

### ბრძანება

№ 14.

სასურსათო საქმეთა და გზათა მინისტრისა.

31 აგვისტო, 1918 წ.

სასურსათო საქმეთა და გზათა მინისტრის რწმუნებული, საეკონომიო მეცნიერების კანდიდატი—ვენედიკტე ნიკოლოზის ძე ცინცაძე განთავისუფლებულია სასურსათო სამინისტროს პურის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან და რჩება მხოლოდ რწმუნებულის თანამდებობაზე.

№ 15.

31 აგვისტო, 1918 წ.

დანიშნულ იქმნა ამ წლის 1 ენკენისთვიდან სასურსათო საქმეთა სამინისტროს პურის განყოფილების უფროსად დიმიტრი ესტატეს ძე ლამბაშიძე, ქუთაისის მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგანგებო საქმეთა მოხელე.

სასურსათო საქმეთა და გზათა მინისტრი ი. ლორთქიფანიძე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 4 ენკენისთვე.

ოსმალეთს საერთაშორისო ურთიერთობაში „ავადმყოფ ადამიანად“ თვლიდენ. სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს შერჩება თუ არა მას ეს სახელწოდება მომავალშიაც.

ოსმალეთი მსოფლიო სახელმწიფოთა დიდ ინტერესების ბრძოლის შუაგულშია მოქცეული და ძნელი სათქმელია დაახლოვებით როგორ სახეს და მიმართულებას მიიღებს მისი და საერთაშორისო ცხოვრება ომის შემდეგ.

ოსმალეთის დღევანდელი სამხედრო ძლიერება კი უმთავრესათ დამოკიდებულია მის მოკავშირეთა ძლიერებაზე. როცა რუსეთი მოისპო და კავკასიის ბრძოლის ველი რუსის ჯარმა მიატოვა. მაშინ ოსმალეთმა დაისვა ლარი და ჩვენს ქვეყნებს შემოუტია.

ჩვენ არ გავიხსენებთ იმას თუ როგორ გათავდა ეს შემოტევა, რა დავკარგეთ და რანაირ პირობებში მოგვიხდა ზავის ჩამოგდება.

მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმალეთის დღევანდელი პოლიტიკური მესვეურები ძალიან ფართო იმპერიალისტურ გზას ადგებიან, რაც სრულებით არ გამომდინარეობს ოსმალეთის ეკონომიური განვითარებიდან და მის სახელმწიფოებრივ ინტერესთა სწორი შეგნებიდან.

ოსმალეთს უნდა დაიპყროს. ყველა დიდი სახელმწიფო იპყრობს და მასაც არ უნდა ჩამორჩეს საერთო იმპერიალისტურ მიდრეკილებას. მაგრამ ის ივიწყებს იმას თუ დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას ხშირათ რა უბედურობა და ვაივაგლახი მისდევს თვით ამ პოლიტიკის მაუწყებლისათვის.

ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო სამაჰმადიანო საქართველო. მაგრამ ამ ფაქტისთვის რომ უფლებრივ-ზნეობრივი ძალა და მნიშვნელობა მიეცა, მოინდომა ხალხის თანხმობის მიღება და მით თავის მოქმედების გამართლება საერთაშორისო კონგრესების წინაშე.

როგორ მოიმოქმედაეს ოსმალეთმა?

ყოვლად მიუღებელი და, საერთაშორისო უფლების და სამართლიანობის თვალსაზრისით, ყოვლად დასაგმობი საშუალებით.

დაპყრობილ ქვეყანაში ჯარის და პოლიციის გაუყვანლათ შეშინებულ ხალხს თავზე მოახვია „პლებისციტი.“ ხალხმა ის სთქვა, რაც ჩასძახა და რაც მოსთხოვა მას თავზე მდგარმა ოსმალეთის ადმინისტრაციამ და ჯარმა.

ხალხის შეკითხვისათვის და მისი ნამდვილი ნება-სურვილის გამოსათხოვად საჭირო იყო სრულიად თავისუფალი პირობები და არა სულთამხუთავივით თავზე დადგომა. აქ გაითელა უფლება და სამართალი, აზრი დაკარგა „თვით გამორკვევამ“, რომელიც სათამაშოთ გადააქცია ოსმალეთის პოლიტიკამ.

რასა თქმა უნდა, ამას საქართველოს მთავრობამ ენერგიული პროტესტი გამოუცხადა, მან თავის მოკავშირეებს და ევროპას აცნობა, რომ მოხდა უდიდესი ფალსიფიკაცია ხალხის ნების, ხალხის აზრის; დაირღვა უბრალო ელემენტარული პირობები თვითგამორკვევის მოსახდენად.

თავის თავად ცხადია ეს საპროტესტო განცხადება ოსმალეთს არ მოეწონებოდა. ხოლო, როგორც ვიცით, გერმანიამ მას სათანადო ყურადღება მიაქცია და შეუწყნარებლად აღიარა ხელოვნურათ მოხდენილი თვით გამორკვევის წესები. ღრმათ დარწმუნებული ვართ, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახლანდელ სტამბოლის კონფერენციაზე და ჩვენი მთავრობის დასაბუთებული პროტესტი არ დარჩება ხმად ღაღადებისა უდაბნოსა შინა.

მადა ჭამის დროს მოდისო, ამბობენ ფრანგები. ოსმალეთიც თანდათან მოდის მადაზე და ცდილობს ახალ-ახალი ადგილები ჩაიგდოს ხელში.

ფეხზე არ დამდგარა ჯერ პატარა სომხეთის რესპუბლიკა და ბ. ენვერ-ფაშა მას უკვე გადაყლაპვას უპირებს. მერე იცით რა საბუთით? სომხის ბრბოები ხელს უშლიან ოსმალეთის ჯარის გადაყვანასო.

ეს რა თქმა უნდა არაფერი მიზეზი არ არის, რადგან სომხეთის მთავრობა არ არის პასუხის მგებელი უპასუხისმგებლო ყაჩაღური ბრბოების მოქმედებისათვის. მაგრამ ძლიერი მიზეზს ყოველთვის გამონახავს. „შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო“.

მთელი ამიერკავკასიის და კერძოთ საქართველოს დემოკრატია არსებითათ დაინტერესებულია, რომ ოსმალეთის იმპერიალიზმმა თავისი განზრახვა არ მოიყვანოს სისრულეში. სომხეთის რესპუბლიკამ სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდა შეინარჩუნოს. ეს არის ჩვენი სურვილი და მოთხოვნა. დემოკრატია შესაფერ ნაბიჯებს გადასდგამს და სათანადო დასკვნას გააკეთებს, რომ სომხეთის რესპუბლიკა ძალმომრეობის მსხვერპლი არ გახდეს.

ოსმალეთის იმპერიალისტები, როგორც თურქული გაზეთი „აათი“ გადმოგვცემს, კიდევ დიდს პლანებს შლიან თვალ წინ და მის მიზნად ვინ იცის რას არ ისახავენ.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამაში ის არის, რომ მათი განზრახვით შავი ზღვა უნდა გადაიქცეს ოსმალეთის ზღვად, მისი მონაპირე, სახელმწიფოები უნდა დადგენ ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ. თუ გაზეთს დაეჯერება ისინი პრინცებით და ერც გერცოგებითაც გვიპირებენ გაბედნიერებას.

ეს იმპერიალისტური ბოდვაა და მეტი არაფერი. მაგრამ ესეც დამახასიათებელია ოსმალეთის იმ წრეებისთვის, რომელნიც პანთურქული და დაპყრობითი პოლიტიკით სულდგმულობენ.

ოსმალეთი ამ ფართო გეგმას რაც უნდა უნდოდეს ვერ განახორციელებს, რადგან ამის წინააღმდეგნი იქნებიან თვით მისი მოკავშირე სახელმწიფონი. ოსმალეთს ვინ გააბატონებს და გააძლიერებს ისე, რომ შემდეგ ყველასათვის საშიშარი და აუტანელად შეიქნეს!

მაგრამ ოსმალეთის ასეთ პოლიტიკას უნდა შეებრძოლონ აგრეთვე ის ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომელნიც დემოკრატიული ეწყობიან და თავისი მდგომარეობით და ლტოლვილებით ვერას დროს ვერ შეურიგდებიან ოსმალეთის ბატონობას და პროტექტორატს.

კერძოთ საქართველოს რესპუბლიკა უმთავრესათ, სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როცა ახალ ორიენტაციას ითვისებდა და ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს უკავშირდებოდა...

## ადგილობრივი თვითმართველობა-ერობა.

II

რაც შეეხება მესამე საკითხს—ადგილობრივი თვითმართველობის ცენტრალ მთავრობასთან დამოუკიდებლობას—გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ცენტრში პარლამენტის მიერ შედგენილ კანონების ფარგალში თვითმართველობის ორგანოებს მოქმედების სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული, ცენტრისაგან თავის საქმეებში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. ცენტრალური მთავრობა მარტოთ მარტო თვალ-ყურს ადევნებს, რომ კანონი დარღვეული არ იქნეს.

ზემო აღნიშნულ თვითმართველობის პრინციპები ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ ერობის დებულებაში საკმარისადაა დაცული. ჩვენ ცხოვრებასთან შესაფარდებლათ შესწორება მხოლოდ ერობის ერთეულებს, მისს ტერიტორიებს დასჭირდება.

რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა, დღიდან მისი საქართველოში გაბატონებისა, ყოველივე ქართულს ეროვნულს სპობდა, ანადგურებდა. ის ისტორიული საქართველოს ტერიტორიის სახელწოდებასაც კი სდევნიდა საქართველოს პროვინციების სახელები ქართლი, კახეთი, სამურზაყანო, გურია, სამეგრელო და სხვა რუსეთის მთავრობისაგან ხმარებიდან სრულიად განდევნილ იქმნა. მის მაგიერ რუსეთის ბიუროკრატიამ უცხო და ხალხისთვის გაუგებარი ადმინისტრატიული სახელები შემოიღო; საქართველო წოდებრივ სასოფლო უბნებათ, მაზრებათ და გუბერნიებათ დაჰყო. ამ უცხო სახელების შემოღებით და სხვა ზომებით რუსეთის მთავრობა ცდილობდა ქართველი ხალხის ცნობიერება-მეხსიერებიდან სამშობლოს, საქართველოს შემეცნება ამოეფხვრა.

თვით სიტყვების ხმარება საქართველო და მისი პროვინციების სახელების აღკრძალული იყო. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალმომრეობის წესწყობილებამ მიზანს ვერ მიაღწია. ქართველი გლეხი უცხოეთიდან გადმონერგილ წესებს კარგათ ვერ შეეთვისა.

რუსეთის ადმინისტრატიულ ერთეულებზე გლეხს ნათელი წარმოდგენა არა აქვს, მხოლოთ მან კარგათ იცის, რომ იქ „უეზდნი ნაჩალნიკები და გუბერნატორები“ იმყოფებიან.

მართალია საქართველოზე ქართველ გლეხს ხეირიანი წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიული პირობების ბრალია და არა რუსეთის პოლიტიკისა. ფეოდალურ საშუალო საუკუნოების ხანაში საქართველო რამოდენიმე პროვინციებათ იყო დაყოფილი. ხშირათ ჩვენი პროვინციები ქიზიყი, სვანეთი, გურია, სამეგრელო და სხვა დამოუკიდებელ სამთავროებსაც კი წარმოადგენდნენ. საქართველოს ამ სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ქართველები ცოტათ თუ ბევრათ განირჩეოდნენ და განირჩევიან ზნე-ჩვეულებით, ეკონომიურ და გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობით. შავ ბნელ დროში ეს კუთხეები ერთმანეთსაც კი ებრძოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ამნაირ მდგომარეობისა გამო ქართველ ხალხში საქართველოს ცნება, საერთო სამშობლოს შეგნება რამოდენიმეთ შეფერხდა. ხალხში უფრო მტკიცეთაა დაცული პროვინციის შეგნება—შეხედულობა. მაგალითად ზემო ქართლელი გლეხი თავისს კუთხეს მშვენივრათ იცობს. მან კარგათ იცის მისი სივრცე, ადგილმდებარეობა, სამეურნეო კულტურა, მისი საზღვრები, ხანდისხან სოფლების და თვით მცხოვრებლების რიცხვიც კი. ასეა სვანი, მეგრელი, გურული და სხვა. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ მდგომარეობას. ეს ერთგვარი პასტიკულიარიზმი თვით ხალხის განვითარებით იქნება ძლეული. ხოლო ახლავე სულ ვერ გავაუქმებთ ისტორიულ პროვინციების მნიშვნელობას. უცხო თვითმყრობელ ბატონობის დროს შემოღებული ადმინისტრატიული ერთეულები უნდა გადაისინჯოს.

ერობებს სამეურნეო და მოქალაქეების კეთილ დღეობის მოწყობა—გაუმჯობესობის საქმეებში სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. როგორც მილიციას ისე კომისრებს ერობა უნდა ირჩევდეს. პროვინციის ხასიათით, მისი განსხვავებით გამოწვეული საკითხების გადაჭრა ერობებს სავალდებულ-დადგენილების გამოცემით უნდა შეეძლოთ.

გ. შ—ია.

# პროფესორ ცუგმაიერთან

ჩვენს თანამშრომელს გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს უფროსმა პროფ. ე. ცუგმაიერმა შემდეგი გადმოსცა.

### ბაქოს ფრონტი.

ბაქოს ყოველის მხრით, გარდა ზღვისა, გარს არტყია ოსმალეთის ჯარი. მაღლობი ადგილები, დაიკავა რა ოსმალეთის ჯარმა, ძლიერ გაამაგრა მძიმე არტილერიით, რომლის შემწეობით შეიძლება სულ რამოდენიმე საათში განადგურებულ იქნას, როგორც თვით ქ. ბაქო, ისე იქ მყოფი გარნიზონიც, მაგრამ ეს იქნებოდა დიდი უბედურება, რომლის თავიდან აცდენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კი ბაქოს დამცველი ჯარი მოისურვებდა ქალაქის ჩაბარებას უბრძოლველად. ამიტომ ოსმალოს ჯარი სანამ ქალაქს ყუმბარებს დაუშენდეს, წარუდგენს ბაქოს მთავრობას „ულტიმატუმს“, რომლითაც მოითხოვს უბრძოლველად ქალაქის ჩაბარებას. ყოველ შემთხვევაში ბაქოს ბედი სულ მცირე ხანში გამოირკვევა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ის, შეიძლება, რამოდენიმე დღის შემდეგაც იქნეს ოსმალოებისაგან აღებული.

### ინგლისელები სპარსეთში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად სპარსეთს ფაქტიურად ფლობს ინგლისი. მაგრამ მისი მდგომარეობა იქ არ არის მტკიცე. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ ინგლისში, როგორც პარლამენტში, ისე საზოგადოებაშიდაც მოითხოვენ სპარსეთში დიდი ჯარის დაუყონებლივ გაგზავნას.

ბაქოს აღებით და ოსმალეთის ჯარის შეტევით თავრიზისა და ურმიის ფრონტზე ინგლისის ჯარი დიდ საფრთხეში ჩავარდება. ამ მოსაზრების სინამდვილეში ჩვენ სულ ახლო მომავალში დავრწმუნდებით.

### დასავლეთის ფრონტი.

ფრანგებ-ინგლისელებ-ამერიკელების შეტევა გრძელდება. ამ ფრონტზე იბრძვის აგრეთვე ეხლახან საფრანგეთში მოსული იტალიელი ჯარი. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე დიდი რიცხვი შავ-კანიანებისა. შეტევა მეტად სერიოზულია. წინადაც მივაქციე ყურადღება და ეხლაც ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ თუ მტერმა მოულოდნელი შეტევით პირველად საგრძნობელი რიცხვი ტყვეებისა ჩაიგდო ხელში, შემდეგ ის იძულებული ხდება თავის სამხედრო ბიულეტენებში დღითი დღე აღნიშნოს, რომ ტყვეების რიცხვი სულ მცირედია და ზარბაზნების წართმევაზე თითქმის სულ არაფერს არ იტყობინება, მაშინ როდესაც მტერს ეს შეტევა მეტად ძვირად უჯდება, რის გამო მისი შეტევის ძალა იწურება. გერმანელი ჯარი მწყობრად სულ მცირეოდენად უკან იწევს, ძალას ინახავს, მტრის სუსტ მხარეებს სწავლობს და როცა დრო დადგება თვით გადავა შეტევაზე. მტერმა დღემდე, თუმცა ის ორ კვირეზე მეტია, რაც განსაკუთრებული ენერგიით აწარმოებს შეტევას, ვერ შესძლო ჩვენი ფრონტი გაერღვია, რაც მის უმთავრეს მიზანს შეადგენდა და დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე მტერი შეტევის ძალას სრულიად დაჰკარგავს.

### 40 დივიზია სათადარიგო ჯარი.

გერმანიაში დღეს სდგას 40 დივიზია სათადარიგო ჯარი, რომელიც ყოველ წამს მზად არის აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ფრონტზე გასალაშქრებლად. ამ წლის განმავლობაში მას ჯერ ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში. როგორ მოიხმარს ამ ჯარს გენერალი გინდენბურგი, ჯერ არავინ იცის.

ყოველ შემთხვევაში მთელი გერმანია განურჩევლად წოდებისა, კლასისა თუ მიმართულებისა, სრული ნდობით შეჰყურებს გერმანიის ჯარის მთავარ-სარდალს, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს.

### იაპონია და ამერიკა.

იაპონია ჯარს ევროპაში არ გამოგზავნის. მას, თუ კი უნდოდა ეს, წინეთაც შეეძლო, მხოლოდ ამას არ მოითხოვს არც მისი რეალური ინტერესები. როგორც იაპონიას, ისე ამერიკას დიდი ხანია უჭირავს თვალი ციმბირის უმდიდრეს ადგილებისაკენ, სადაც დასამუშავებელი მასალა, სხვა და სხვა მინერალური სიმდიდრე ურიცხვია. ამიტომ სწორედ იაპონია შორეულ აღმოსავლეთში იკავებს ჯარით ადგილებს, აქეთკენვე გზავნის ჯარს და ხომალდებს ამერიკაც. ცხადია, რომ მათ უნდათ ციმბირის მთავრობასთან დასდონ ხელშეკრულება, რომლის ძალით ისინი მიიღებენ უფლებას მადნის თუ სხვა სიმდიდრის დასამუშავებლათ, ვსთქვათ 90 წლის გავმავლობაში, რაც რასაკვირველია, ნამდვილ ოკუპაციას მოასწავებს.

### სად და როდის დასრულდება მსოფლიო ომი.

თუ კი, რაიმე განზრახვით გენერალ გინდენბურგი მას შემდეგ, რაც დასავლეთ ფრონტზე მტრის შეტევას სრულიად შეაჩერებს, თვითონ არ დაიწყებს წინაალმდეგ—შეტევას, მაშინ მოსალოდნელია სულ სხვა მიმართულება ამ უდიდესი ომისა. რამდენიც უნდა ეცადოს ინგლისი ჩეხო-სლოვაკების შემწეობით, აღმოსავლეთის, ესე იგი რუსეთის ფრონტის აღდგენას ვერ შესძლებს. ბალკანეთის და იტალიის ფრონტი გერმანიას არავითარ საფრთხეს არ უქადის. მაშასადამე სულ ადვილად შეიძლება, რომ გერმანიის დიდი ჯარი გაგზავნილ იქნას აზიისასაკენ. მე პირადათ, დასძინა პროფესორმა, იმ აზრისა ვარ, რომ ეს ომი დაბოლოვდება არა დასავლეთ ფრონტზე, არამედ აზიაში. თუ რამდენხანს გაგრძელდება ომი კიდევ, ამის თქმა ეხლა შეუძლებელია.

### უკრაინაში გლეხთა მოძრაობა.

უკრაინაში გლეხთა მოძრაობას არა აქვს არც პოლიტიკური, არც სხვა რაიმე სისტემატიურის ხასიათის თვისება. ისინი მხოლოდ მოითხოვენ ოქროს სანოვაგის გაყიდვის დროს. და თუ ოქროს მაგიერ ქაღალდის ფული მიეცით, უკმაყოფილონი რჩებიან და ალაგ-ალაგ კიდევაც სცადეს აჯანყება მოეხდინათ. მხოლოდ ყველა ამას, როგორც ვთქვი, არა აქვს არავითარი პოლიტიკური თვისების საფუძველი ❧ დამოკიდებულება გერმანიის და უკრაინის მთავრობათა შორის ძველებურად კარგია.

# პრესის მიმოხილვა.

ლენინის დაჭრით და ურიცკის მოკვლით რუსეთში ახალი საშინელება იწყება. შესაძლოა აქ ინგლის-საფრანგეთის ხელიც მუშაობდეს, მაგრამ ამის მიზეზები ბოლშევიკურ მთავრობის მიერ შექმნილ მდგომარეობაშიც უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს მოსკოვიდან ახლად დაბრუნებული საქართველოს ელჩი გაბ. ხუნდაძე „ერთობის“ ფურცლებზე.

ბოლშევიკებმა უარყვეს ყოველგვარი კონსტიტუციის ძირითადი დებულებები, უარყვეს პარლამენტარიზმი. მათ აღიარეს, რომ რუსეთის პროლეტარიატმა უკვე გადალახა პარლამენტარიზმის ხანა და მოსპეს ჩვეულებრივი საარჩევნო უფლება, კანონი. (ისინი სცნობენ მხოლოდ პროლეტარულ პარლამენტარიზმს. ამ დღეებში საბჭოს მთავრობამ დაამტკიცა ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ხმის მიცემის უფლებას აძლევს მხოლოდ იმას, ვინც ეწევა საწარმოვო შრომას და ვინც ბოლშევიკურ სახელმწიფო სამსახურზე ირიცხება, დანარჩენები ხსენებულ უფლებას მოკლებულნი არიან. როგორც ხედავთ ამ კონსტიტუციის ძალით მრავალი ხალხი უუფლებოთ რჩება, მაგ., მე როგორც ვექილს არა მაქვს ხმის მიცემის უფლება. ერთგვარი გაუგებრობა არის გლეხების შესახებაც. როგორც ირკვევა, მათაც წართმეული აქვთ ამრჩევლის უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ჯარის-კაცთა საბჭოებს სახალხო კომისართა საბჭო არაფერს ეკითხება. ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ზავი, ფინანსიური საკითხი, მხოლოდ მთავრობა გადასწყვეტს და შემდეგ დასადასტურებლად ურდგენს ჯარის-კაცთა და მუშათა საბჭოებს.

რაც შეეხება ადმინისტრაციას, მის შესახებ ბ. ვ. ხუნდაძე აცხადებს,

რომ ასეთი ცინიზმი, დაცინვა, ასეთი მექრთამეობა, რასაც ახლა ადმინისტრაციაში აქვს ადგილი, არასოდეს, არც ერთ ძველი მთავრობის დროს ადგილი არ ჰქონია. ძნელია სიტყვით იმ უსამართლობის გადმოცემა, რაც ამ დაწესებულებებში ხდება. სრული უპასუხისმგებლობა, სრული უწესრიგობა, ადამიანის პიროვნების უსაზღვრო დამცირება, აი რას წარმოადგენს დღევანდელი რუსეთის ადმინისტრაცია.

ასეთია რუსეთის მდგომარეობა. ამ გვარ პირობებში კარგი რამ უნდა გაგვიკვირდეს, თორემ ავი რა საკვირველია.

* * *

ლენინის დაჭრის გამო „ერთობა“ სწერს:

ამა თუ იმ პიროვნების სიკვდილით არ შეიძლება სახელმწიფოებრივი წყობილების გადატრიალება. ეს უდიდესი ავანტიურაა და მას ჩვენ მუდამ ვებრძვით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ბოლშევიზმი, ანუ როგორც იგი უწოდებს, წვრილი გლეხური ანარქია არის სტიქიური შედეგი რევოლიუციის და წარმოების ურთიერთობისა.

რუსეთის ფართო მასსიურ სტიქიას ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგენ, მათ სტიქიაში შეგნება ორგანიზაციის შეტანის მაგიერ,—არსებული სტიქია უფრო გააძლიერეს და მით შექმნეს ის წარმოუდგენელი და რუსეთის დამღუპველი ანარქია, რომლის მოწმენიც ჩვენ დღესა ვართ.

ასეთი მდგომარეობის წინაალმდეგ ბრძოლა ტერორის მეოხებით არ შეიძლება და ლენინის მოკვლით იგი უცბად არ მოისპობა.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით „ერთობას“, რომ ასეთი მდგომარეობის წინაალმდეგ ბრძოლა ტერორის მეოხებით არ შეიძლება, რომ

„საჭიროა ხალხში ორგანიზაციული მუშაობა, ფართო დემოკრატიაში შეგნების შეტანა“.

ასეთი მდგომარეობის წინაალმდეგ ბრძოლა ტერორის მეოხებით არ შეიძლება და ლენინის მოკვლით იგი უცბად არ მოისპობა. მაგრამ რუსეთის უბედურებაც იმაშია, რომ დღეს ხალხში ორგინიზაციული მუშაობის გამჩაღებელი, ხალხში შეგნების შემტანი პოლიტიკური ძალები დასუსტებულია. თვით რუსეთის დემოკრატიული ნაწილები სასოწარკვეთილნი არი ანდა გამონაკლისთა გარდა ყველანი იმედებს გარეშე ძალებზე ამყარებენ. ხოლო რას მისცემენ ეს გარეშე ძალები რუსეთს—ძნელია წინასწარმეტყველება. ერთი კი ნათელია: ბოლშევიკების შურის ძიება სისხლის ახალ ნაკადებს შეურთავს რუსეთში დაღვრილ სისხლის ზღვას.

ამავე საკითხის შესახებ „ბორბა“ სწერს:

„ისტორიულ წინაალმდეგობათა კვანძები ტერორისტულ აქტებით არ გადიჭრება... შესაძლოა მკვდარი ლენინი უფრო საშინელი გახდეს რუსეთისათვის, ვიდრე ცოცხალი ვლადიმირ ულიანოვი.

* * *

ლტოლვილთა დასახმარებლად საქართველოს მთავრობას არაფერი არ დაუზოგავს; მიუხედავათ ამისა როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე სომხური გაზეთები, ლტოლვილებს ჩვენს წინაალმდეგ ამხედრებენ. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მკითხველს მოვასმინეთ „აშხატავორ“-ის „დიდი საყვედური“ ჩვენ მთავრობისადმი და აღვნიშნეთ, რომ თვით შეგნებული ნაწილი კახეთში მცხოვრებ სომხებისა მოითხოვს სომეხ ლტოლვილთა გაყვანას და მათი საქმის მოგვარებას.

ახლა ლტოლვილთა საკითხს უბრუნდება „ტრუდოვოე ზნამია“-ც. იგი სწერს:

სომხის ბურჟუაზია, რომელსაც ასე უყვარს საქართველოს მთავრობის გაკიცხვა, თვით არაფრით დახმარებია ლტოლვილთ, ხოლო ათასში ერთხელ თუ უყრის საზეიმო მაგიდიდან ნამცეცებს ქალაქის ჭუჭყიან მოკირწყლულ ქუჩებში დღე და ღამ მყოფ ლტოლვილებს. სომხის ბურჟუაზია, რომელმაც ომის დროს ზღაპრული სიმდიდრე ჩაიგდო ხელში, სომხის პროლეტარიატია, რომელიც დიდ ფუფუნებაშია—გულცივად უმზერს ჩაყვითლებულ, ჩამომხმარ, სიკვდილის პირს მდგარ ლტოლვილ ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს. მას არ ჰსურს დახმარება, არ ჰსურს მხარი დაუჭიროს ამ ტრაგიკულ ისტორიულ დღეებში თავის დემოკრატიას.

როცა „ტრუდოვოე ზნამია“-ც ამას სწერს, ჩვენ მგონი აღარა გვეთქმის რა.

* * *

ჩვენს დელეგაციასთან ერთად ბერლინში მყოფი ვლად. ახმეტელაშვილი თავის შთაბეჭდილებას უზიარებს მკითხველებს „ერთობის“ ფურცლებზე. იგი სხვათა შორის სწერს:

ერთი სიტყვით, გერმანიის ხალხი არც ერთ სფეროში გაჭირვებას არ განიცდის და იგი ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა. მორთულ მოკაზმული გერმანელები კვირა უქმე დღეს დიდი და პატარა სამგალითო ბალ-რესტორანებში, ქალაქს გარეთ დროს ატარებენ და მათ ჩაცმა-დახურვას, ფეხსაცმელს ვერ შეატყობთ თუ ისინი მსოფლიო ომს ოთხი წელიწადია ეწევიან.

* * *

„სახალხო საქმე“ უბრუნდება ჩვენთვის მარად საგონებელ საკითხს. ეს არის: ახალქალაქ-ახალციხის მაზრების დაბრუნება და ბათომის ოლქის საკითხის გადასინჯვა. იგი სწერს:

საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა მისი ტერიტორიის უზრუნველყოფა. გერმანიის წარმომადგენელი დაგვპირდა ახალქალაქ-ახალციხის მაზრების დაბრუნებას და ბათომის ოლქის საკითხის გადასინჯვას. ამ დაპირების შესრულებას ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს და უნდა ვთხოვოთ გერმანიას, მიაქციოს ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება...

# სომხური პრესა.

„აშხატავორი“ სწერს:

რუსულმა რევოლიუციამაც დაამტკიცა, რომ რევოლიუციის მოხდენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი მონაპოვარის შენარჩუნება, „ძველი წესწყობილების“ დანგრევა ვიდრე ახლის აშენება.

ამ გაცილებით სამწუხარო ფაქტს, რომლის გამო რევოლიუციები ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს, აქვს თავისი საერთო და კერძო—ადგილობრივი სოციალ-კულტურული მიზეზები.

იმ გარემოების გამო, რომ დემოკრატია რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში გაუტარებია თავისი სიცოცხლე და არ მიუღია მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაკვირველია, გამოუჩენია გამოუცდელობა და აღმაშენებლობის უძლურება.

თავის თავად ცხადია, რომ ის სამოქალაქო და პოლიტიკური გამოცდილება და მისწრაფებანი, რომლებიც აქვს ინგლისელებს, არ შეიძლება მოვითხოვოთ რუსის „მოქალაქენისაგან“, რომელიც მრავალი საუკუნოებით ჩამოშორებული იყო საქმიანობას; ის ერი, რომელსაც კრების, სიტყვის და სხვა უფლებები შეზღუდული ჰქონდა, რომლებიც 60 წელიწადია რაც გამოვიდა ყმობისგან, რომლის 75 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცის, ვერ შესძლებდა დიდი პოლიტიკური გამოცდილება გამოეჩინა არა თუ მარტო სოციალისტური, არამედ თვით დემოკრატიულ ზომითაც-კი.

და ამისთანა დემოკრიტიას ხვდა წილად სოციალისტური რევოლიუცია მოეხდინა, რომელიც მოითხოვს უდიდეს კულტურულ თვისებას. და რასაკვირველია, ეს დემოკრატია დაიღუპა თავის ძალიან მძიმე ტვირთის ქვეშ. იმ უმცირეს სამოქალაქო შეგნებას იმ თავისუფლებისა და მოვალეობის გაგების ხარისხს, რომელზედაც სდგას ჩვენი დემოკრატია, ბუნებრივ, სხვა ნაყოფს ვერ გამოიღებდა და აი ჩვენ ვნახეთ ჩვენი თვალით ერთი ძალიან უნუგეშო მოვლენა—ის დემოკრატია, რომელიც ყველა უფლების პატრონია, უძლური გამოვიდა აღმშენებლობის პროცესში.

მეტიც კი,—დემოკრატია გამოვიდა ბიუროკრატიის როლში, გამოიჩინა ბიუროკრატიზმის თვისებანი, ესე იგი, მოვალეობის შეუგნებლობა, მექრთამეობა, ნათლიმამობა, უფლების მოყვარულობა და გულზვიადობა.

იგი თავისი მშობლის ბიუროკრატიის და საზოგადოების ნამდვილი მემკვიდრე აღმოჩნდა.

ეს სამწუხაროთ, ძალიან უნუგეშო მოვლენაა, რომელსაც კაცი უნდა ჩაუფიქრდეს.

მასას უნდა შევათვისებინოთ დემოკრატიული-პოლიტიკური მიზნები, უნდა გავაგებინოთ, რომ საკმარისი არ არის მარტო დანგრევა საჭიროა, აღმშენებლობაც, რომ თავისი საკუთარი ინტერესი დაექვემდებაროს სოციალისტურ ინტერესებს.

„ასეთ წრიდან გამოსულ“ ყმები შეგნებული და „თავისუფალი მოქალაქენი“ გახადოთ, უნდა გავაგონოთ, რომ თუ არ აქვს განსაზღვრულ კულტურულ-ზნეობრივი კეთილი თვისება და სამოქალაქო შეგნება, არ შეიძლება არც რევოლუციის მონაპოვარის შენარჩუნება, არც დემოკრატიულ წესწყობილების შექმნა. უფრო ადვილია რევოლუციის მოხდენა, ვიდრე უბრალო ელემენტარული დემოკრატიული წესწყობილების დამყარება.

* * *

„მშაკი“ ეხება იმ საკითხს, ჰაიასტანის მთავრობამ თუ რანაირი პოლიტიკა უნდა აწარმოოს თავის მეზობელ სახელმწიფოების საქართველოსა ❧ ადერბეიჯნისადმი ❧ სწერს:

ამიერ-კავკასიის სამი ნორჩი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დროებითია. ამ სახელმწიფოებთაგან არც ერთს არ შეუძლიან თავისუფლად, დამოუკიდებლად აწარმოოს თავის ქვეყნის და ხალხის ბედი და იღბლის საქმე, იმიტომ, რომ თავის ტერიტორიისა და ხალხის სიმცირის გამო არ შეუძლიან თავის საკუთარ ჯარით თავის თავი და თავისუფლება დაიცვას. ამ მოვლენის მიზეზები მრავალნი არიან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა კი ამიერ-კავკასიის გეოგრაფიული მდგომარეობაა. ის წარმოადგენს ხიდს აზიასა და ევროპის შუა. ამ ხიდზე ძველი დროიდან უმოგზაურნია მრავალ ხალხს და ყველაფერი გაუნადგურებია ამ საჭირო ხიდის დაპატრონებისათვის, მრავალ მეზობელ სახელმწიფოებს ბევრჯერ უბრძოლ-

ნიით ერთმანეთთან, და ამ ბრძოლის ველად ყოველთვის გამხდარა ამიერ-კავკასია. ეხლაც მეორდება ის, რაც ყოფილა წინად. დიდი სახელმწიფოები შეეჯახნენ ერთმანეთს, დაიწყო მსოფლიო ომი, და ამიერ-კავკასია, როგორც ძველ დროს ისე ეხლაც, გახდა თავის სურვილის წინაამდეგ ველად, უბედურებისა და განდგურების ასპარეზად. და ამისთვის იყო რომ ამიერ-კავკასიის ერები, და პირველ ყოვლისა კი ქართველები და სომხები, რომლებიც უძლურნი იყვნენ წინააღდგომოდნენ მოსულ ურდოების შემოსევას, ძველ დროებიდან იმ მხარისკენ იყურებოდნენ, სადაც შეეძლოთ ეპოვნათ იმისთანა სახელმწიფო, რომელსაც ამიერ-კავკასიის ერების დაცვა შესძლებიყო. ამისთანა მფარველობა ძალიან ძვირად უჯდებოდათ ამიერ-კავკასიის ერებს, რადგან არც ერთი სახელმწიფო სარგებლობის უნახავად არ ღვრიდა თავის ჯარის სისხლს რაღაც იდეური მიზნებისათვის. ამიერ-კავკასიის ერებიდან მარტო ქართველებმა შესძლეს ხანგრძლივ შეენახათ თავიანთი დამოუკიდებულობა, მაგრამ ისინიც ბოლოს იძულებულნი გახდენ მიემართნათ რუსეთისათვის, რომ მას საქართველო მიეღო თავის მფარველობის ქვეშ. ამავე დროს ამიერ-კავკასიის მაჰმადიანი პატარა სახელმწიფოები, შეშინებული რუსეთის წინსვლით ეძებდნენ ფარსისტანის და ოსმალეთის მფარველობას. აი ეს იყო ახლო წარსულში ამიერ-კავკასიის ერების საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძი.

ეხლახან, როცა დაინგრა რუსეთის თვითმპყრობელი რეჟიმი და გამოქვეყნდა ერების განთავისუფლების იდეა, ამიერ-კავკასიის სამმა მთავარმა ერმა ქართველებმა, სომხებმა და თათრებმა, სცადა განთავისუფლებულიყო, როგორც ამიერ-კავკასიის მთლიანი სახელმწიფო. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს არ მოხერხდა.

ამისთანა გეოგრაფიული პირველად შედგენილი სახელმწიფო ძალიან მალე დაიშალა და ადგილი დაუთმო წინანდელ სახელმწიფოებრიობას და შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოები.

სუყველაზე წინ განთავისუფლდა საქართველო და პირველ ნაბიჯისთანავე მფარველად გამოიწვია მძლავრი სახელმწიფო, რადგან სხვაფრივ მის თავისუფლებას ხიფათი ელოდა. გერმანიამ თავის ფარველობის ქვეშ მიიღო საქართველო. ამ გარემოებამ უნდა აიძულოს ჰაისტანის მთავრობა თავისი საგარეო პოლიტიკა საქართველოს მიმართ ისე აწარმოოს, რომ მძლავრი გერმანიის სიმპატია მაინც მოიპოვოს. სომხეთის სახელმწიფო პირობითია, აგრეთვე პირობითია მის გარშემო არსებული პოლიტიკა, რომელსაც სუყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავის მეზობელ სახელმწიფოების მძლავრ მფარველობის ნება და სურვილები.

რაც შეეხება განსაკუთრებით საქართველოს და ჰაისტანის ურთიერთობას, უნდა ითქვას, რომ სუყველა ის პირობები, რომლებიც ძველ დროებიდან აიძულებდენ ამ ორ ერს ძმურად ეცხოვრნა ერთი მეორის გვერდით, როგორც კეთილ-მეზობლებს, დღემდინ რჩებიან შეუცვლელნი. ამიერ კავკასიის სხვა ტომის და სხვა რჯულის ხალხებში მხოლოთ სომხები და ქართველები არიან, რომლებიც გეოგრაფიულად, ისტორიულად და ზნე-ჩვეულებებით ერთნაირ პირობებში იმყოფებიან და თვით ამ მიზეზით თითქმის ძველთაგანვე ერთნაირ ბედისა ყოფილან. ე. ი. ერთნაირი უბედურობა და ბედნიერება გამოუვლიათ ერთი და იგივე წყაროს მეოხებით.

ეს ყველაფერი გვიკარნახებს რომ ამას იქითაც უნდა ვეცადოთ დავამყაროთ კეთილი მეზობლობა ორ რესპუბლიკებს შუა, გავაბათ საურთიერთო მეგობრობის და დახმარების ძაფები, მოვეპყრათ სრული პატივისცემით თითეულ ერის განსაკუთრებულ ინტერესებს და უფლებებს. ამ ჟამათ მსოფლიო ომმა და მისგან გამოწვეულმა რუსეთის რევოლიუციამ, შესცვალა მთელი ქვეყნიერების ძველი წესწყობილებანი.

არ არის დედა მიწის ზურგზე არც ერთი ალაგი, არც ერთი ერი, რომ თავის თავზე არ ეგრძნოს მსოფლიო ომის სიმძიმის შედეგები ჩვენი ქვეყნისთვის კი, რომელიც უკვე ბრძოლის ველს წარმოადგენს, ომის შედეგები შეიძლება უფრო დამღუპველი გამოდგენ, თუ სომხები და ქართველები წინდა წინ არ მოიფიქრებენ და საერთო შეთანხმებულ პროგრამით გარეშე პოლიტიკაში ერთათ არ ივლიან.

ამ ჟამად უდიდესი ისტორიული მოვლენები იმისთანა თავბრუდამხვევ სისწრაფით მიჰქრიან, რომ კაცის აზროვნება მის წინაშე ულონოა. არ შეიძლება არაფრის წინასწარმეტყველება, არაფრის გაზომვა. მთელი რიგი სახელმწიფოებისა დაიღუპა, მთელი რიგი სახელმწიფოებისა ახლად დაიბადნენ და ყველა ერთბაშათ და მოულოდნელად, ნამდვილ ელვის სისწრაფით; ჯერ კიდევ მსოფლიო ომი არ დამთავრებულა, ვინ იცის კიდევ ვინ უნდა დაიღუპოს და ვინ უნდა ისტორიულათ წინ წავიდეს.

აი ამისთანა არ ნახულ მსოფლიო ისტორიულ რღვევის დროს, როცა ერის ბედი ბეწვზე ჰკიდია, სომხების და ქართველების თავისუფალ არსებობის უაღრესი ინტერესები მოითხოვენ, რომ ურთი-ერთის დახმარებით ერთმანეთთან სრული იმედით და ნდობით აღჭურვილთ გამონახონ ის საშუალება და იარაღი, რომელიც მათ მისცემს შეძლებას გაუძლონ მანამდე მაინც, სანამ იმ ბედნიერ დღეს მოესწრებოდენ, როცა ომი დასრულდება და ყველა ერის წარმომადგენელნი შეგროვდებიან სამუდამო ზავის ჩამოსაგდებად.

აი ეს არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მძლავრად გვიკარნახებს, რომ ორი ნორჩი რესპუბლიკა სიყვარულით და ტკბილათ სცხოვრობდენ ერთმანეთთან, დაივიწყონ დროებით მაინც ის შავი ლაქები, რომლებიც არიან ორი ერის, სომხების და ქართველების შუა...

მხოლოდ ასეთს თანხმობას შეუძლიან შეჰქმნას ის პოლიტიკური ერთობა ორ მეზობელ და ერთნაირ პირობებში მყოფი ერების შუა, რომელიც მისცემს ძალას და ღონეს მედგრად დაუხვდეს გარეშე უბედურობას, რომელიც ერთნაირად ემუქრება ორივეს. წინაამდეგ შემთხვევაში შეიქნება ისეთი ნიადაგი, რომელიც შეაძლებინებს აწარმოებინოს მტრებს „Divide et impera“, რომელსაც დამღუპველი შედეგები მოჰყვება ორთავე ერებისათვის.

# სხვათა შორის.

„საქ. რესპუბრიკის“ მოწინავეში სრულიადაც არ შეხებიან პირადათ ბ. ლევ. ყიფიანს და თუ ის ჩვენს წერილს მაინც აღუძრავს „ედინენიეს“ ფურცლებზე, ცხადია წერილის დედა—აზრს სწორათ უმოქმედია და თავის მიზნისათვის მიუღწევია. ვშიშობთ არ გამართლდეს ანდაზა—ქურდს ქუდი ეწვისო.

ბ. ლევ. ყიფიანი ტონს გვიწუნებს, ჩვენი მსჯელობის კილო და საგანი ველარ აუტანია და დარბაისლურად გვეკითხება: ვის ებრძვით ასე გაშმაგებით, სად არიან ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებიო.

საზოგადოთ ბ. ლევ. ყიფიანის ჩვენი ვითომ „შეცდომების“ შესახებ პუბლიცისტურ ნავარდის კბილის გასინჯვას სხვიმის მოვესწრებით.

ხოლო დღეს მას არ შეიძლება არ ვუთხრათ, რომ იგი ან მართლა დაბრმავებუდა გულწრფელათ ვერ ამჩნევს საქართველოს ლია დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტრებს, ან განგებ არ ცდილობს მათ დანახვას და მკითხველს ბუღუსში ახვევს საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ან და ვინ იცის ეგებ კარგათ არც კი იცის ვის უწოდებს საქართველოს დემოკრატია დამოუკიდებლობის პოლიტიკურ მტრებს. ამ შემთხვევაში არ ცოდნა არ ცოდვაა. მაგრამ მაშინ გაჩუმებაა საჭირო და არა გრძელგრძელი წვრილ ძემჩანური ლათაიები.

ბ. ლევ. ყიფიანი შეიძლება ფიქრობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ ილვწოდენ და დღესაც არ ილვწიან ყველა ეროვნების ბალშევიკური დემაგოგები რესპუბლიკის დასახვრევად და ჩვენი თავისუფლების შესამუსრავათ!

განა დასაჯერებელია მან არ იცოდეს რა ძოდდა სოხუმის ოლქში, საჩხერეში, დუშეთში ან დღეს რა ხდება საძეგრელოში და ლეჩხუმში, სადაც მთელი ხალხი შევიწროებულია გაყაჩაღებულ ბალშევიკებისაგან, რომელნიც თავგადადებულნი არიან ჩვენ დამოუკიდებლობასთან საბრძოლველათ!

ეგებ ბ. ლევ. ყიფიანს ჰგონია, რომ რუსის ყოფილი ჩინოვნიკები, გადაყენებული ოფიცრობა და კონტრ-რევოლიუციონური გენერალიტეტი სასტიკათ არ ილაქრებენ საზოგადოთ ჩვენი დამოუკიდებლობის გასაუქმებლათ, რაც ძალი და ღონე აქვთ არ აწყობენ ყოველნაირ კონტრ-რევოლიუციონურ მახეს თავის ბატონობის აღსადგენათ!

განა დასაჯერებელია მას არ გაეგონოს ან ახლა არ ესმოდეს მათი „სახელოვანი“ მოღვაწეობის ამბავი როგორც თბილისში—ისე სხვა ადგილებში და განსაკუთრებით იქ, სადაც შეთქმულობა და შავი ჯანყი იჩენს თავს ჩვენი მთავრობის და დამოუკიდებლობის გასანიავებლათ?

შეიძლება ბ. ლევ. ყიფიანს არსად მოუკრავს ყური, რომ მრავალ უცხო ელემენტთა ჩვენში მოკალათებული შოვინისტური წრეები და მათი მომშხამელი პრესა აშკარათ აღიარებენ ჩვენი რესპუბლიკის და დემოკრატიის მტრობას და დაუნდობლად ებრძვიან ყოველივეს, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების რამე აცხია.

თუმცა დაუჯერებელია, რომ მან არ იცოდეს კადეტების, დაშნაკცუთუნის და მათებურ მიმართულების გულის წუხილი, სულთასწრაფვა და პირდაპირი აღშფოთება შესახებ იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რესპუბლიკანურ სახელმწიფოებრივობის შენებას შეუდგა.

ბ. ლევ. ყიფიანს ვერ წარმოუდგენია, რომ რუსის „სოციალ-დემოკრატი“ და რუსის „სოციალისტ-რევოლიუციონერი“ მტერი იყოს ჩვენი დამოუკიდებლობის და ჩვენი რესპუბლიკის.

მაგრამ არ გვჯერა მან არ იცოდეს „ზნამიელების“ და რუსულ „სოციალ-დემოკრატის“ ავად სახსენებელი გამოსვლანი ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი თავისუფლების წინაამდეგ.

განა ძნელი დასანახავია ის გარემოება, რომ რუსის „სოციალისტური წვრილ-ფეხობა არსებითათ დიდპყრობელური ნაციონალიზმით არის ერთინათ განქღენთილი და კონტრ-რევოლიუციონურ ჩინოვნიკობასთან ერთად რუსეთის ყოველნაირ ბატონობას შეურიგდება, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობას არა, მას რუსეთის ყოველნაირი წყობილება ურჩევნია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ეგებ ბ. ლევ. ყიფიანი ანგარიშს არ უწევს ჩვენი დამოუკიდებლობის სხვა ჯურის შინაურ და გარეშე მტრებს, რომლებიც მშიერყვავ-ყორნებივით დასჩხავიან თავზე ჩვენს პატარა საერთო სამშობლოს, რომელიც ცდილობს ამ საზოგადო ლვართ-ქაფის დროს თავის ფიზიკური არსებობა უზრუნველყოს, რევოლიუციის მონაპოვარი შეინარჩუნოს და დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივობის შექმნით პროგრესისაკენ სავალი გზა გაიგანიეროს და განამტკიცოს.

შეიძლება დაგვიჯეროს ბ. ლევ. ყიფიანმა, რომ თვითონ ის ლიტერატურული ორგანოები, რომელშიაც მას ეხალისება ხოლმე საქართველოს რესპუბლიკის ჭკუის დარიგება, არასოდეს არ უშვებენ შემთხვევას ჩასწიხლონ ბალშევიკურ რისხვას გადარჩენილი საქართველოს რესპუბლიკა. და თუ ზოგიერთი მათგანი ამ ჟამათ თავს იკავებს, და ხელს იღებს სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო ოპოზიციაზე, ეს იხსნება ყრუთ რო ვთქვათ ძალთა რეალური განწყობილებით..

ხომ გახსოვთ უკვდავი კრილოვის ერთი არაკიდან:

„რომ არ ვჭამე კარგი ვქენი,
გეფიცებით შვილებსაო;
მკვახე იყო ის ყურძენი და
მომკვეთდა კბილებსაო!“

ბ. ლევ. ყიფიანი ვერ გრძნობს, რომ ის, რასაც ზემოხსენებული ჯგუფი თუ პირები სჩადიან არის არა კრიტიკა პოლიტიკური, რომელიც სრულიად თავისუფალია რესპუბლიკაში, არა „შეცდომების“ ჩვენება და მათი გასწორების საჭიროება, რომელიც აუცილებელია დემოკრატიის წინსვლისათვის, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თვით ჩვენი საზოგადოებრიობის და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ბრძოლა ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობად და რესპუბლიკის ხელუხლებლობის დასარღვევათ.

ბ. ლევ. ყიფიანის გულუბრყვილობა მეტი რომ არა ვსთქვათ გასაოცარია...

ა—ნი.

# ეროვნული საბჭო

**სამშაბათი, მარიამობისთვის 6. სხდომა მე-27-ე. თბილისი, ხასახლე.**

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ალექსანდრე ასათიანს.

ალ. ასათიანი (ერ. დემ.). ბატონებო, საქართველოს საბჭოს წევრნო, ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის საკანონმდებლო წინადადება ეხება ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხს და საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის მეტად საჭირო ინსტიტუტს. ეს წინადადება მოითხოვს თქვენგან დიდ ყურადღებას.

თქვენ მოისმინეთ ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიის წარმომადგენლის მოხსენება, რომელიც შეეცადა დაესაბუთებინა კომისიის დადგენილება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება მიღებულ იქმნას ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება, რომ შეჩერებულ იქმნეს საერობო არჩევნები. მთავარი საბუთი, რომელიც მოიყვანა ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის კომისიამ ის იყო, რომ უაღრესად საჭიროა საერობო თვითმმართველობის შექმნა, რადგან ჩვენ არა გვაქვს წესრიგი სოფლად და მომავალში სოფლად მშვიდობიანობის დამყარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სისწრაფით შევქმნით ჩვენ ერობას, რომ დახმარება გაუწიოთ მთავრობას წესრიგის დაცვაში და აღდგენაში.

მომხსენებელს მეორე საბუთად მოჰყავს ფინანსიური ხასიათის საბუთი, ის, რომ არჩევნები დაწყებულია, თანხა გადადებულია. თუ არჩევნები შევწყვიტეთ და ხელ ახლა მოვახდინეთ შემდეგ—ეს ახალ ხარჯებს გამოიწვევსო.

მე მგონია, რომ, ეს მეორე საბუთი არ შეეხება იმ საკითხს, რომელიც აღძრა ეროვნულ დემოკრატიულმა ფრაქციამ. რასაკვირველია დიდად საჭიროა უპატრონოთ სოფელს, გავიყვანოთ გზები, დაუაროსოთ სკოლები, უზრუნველვყოთ სურსათ სანოვაგის მხრივ.

ერთის სიტყვით, მივცეთ ყოველივე ის, რაც რეალურად საჭიროა სოფლის ხალხისთვის, ერობა აუცილებლივ საჭიროა ხალხისთვის, მაგრამ ეს კიდევ არ არის საბუთი იმისი, რომ ჩვენ აუცილებლივ განვაგრძოთ ის კომპანია, რომელიც დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ ერობა აუცილებლად საჭიროა, ჩვენ არ ვქმნით ერობას. საჭიროა ისეთი ერობის შექმნა, რომელიც ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი და სოფლის პატრონობას შესძლებს. ასეთი არეული ერობა სოფელს ვერ ააშენებს. თუ შემცდარი გზით შეუდექით ერობის შექმნას, ეს არ იქმნება ის სახელმწიფოებრივი ინტიტუტი, რომელსაც ყველა ჩვენ ვეტრფით, რომელიც ააშენებს და უპატრონებს სოფელს. თუ შევხედავთ, რომ დაწყებული არის მუშაობა ძველი შემცდარი გზით, ჩვენ ეს გზა უნდა უარვყოთ და ერობის შენობა უნდა დავიწყოთ ახალ გზით.

თუ დავატყეთ, რომ არ შეგვწევს, ღონე არ უნდა იყოს დავა იმის შესახებ რომ იგი უეჭველად დავაარსოთ ჩვენი ხალხისთვის. ერობა მეტად მნიშვნელოვანი და ფრიად რთული ინსტიტუტია და მასთან სრულიად უცნობი ჩვენი ხალხისთვის და ბევრი რამ არის საჭირო, რომ მის მტკიცე საბუძველზე ავაშენოთ. საჭირო არის სახელმწიფოებრივი ჩონჩხი, რომ ის სხეულით შეიმოსოს. სასოფლო მილიციის ადმინისტრაციის შტატები თქვენ მხოლოთ წარსულ კვირაში დაამტკიცეთ და რომ ჯერჯერობით სოფელი მოკლებულია მთავრობის ორგანოებს აქ, მე მგონია, დავა არ იქნება; მაშ რა გზით და რა საშუალებით გინდათ შემოიღოთ ეს დიდი და რთული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია? აქ იტყვიან: არ არის ეს აპარატი, არიან ის ორგანოები, რომელთაც ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებით, დაკისრებული აქვთ ამ რთული რეფორმის ცხოვრებაში გატარება ესენი არიან აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ ამ ჟამად ისინი ხომ ფაქტიურად აღარ არსებობენ, რაც აქ ჩვენ მთავრობისაგან გვსმენია. ნურას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად გონივრულია, რომ ამ უდიდეს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის შექმნა დაეკისროს ცალმხრივად შედგენილ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რომ ცხოვრებას ჯერ არც კი დაეშალა ეს ორგანიზაციები.

აქ იტყვიან, დაირღვა აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ არსებობენ ორგანიზაციები, რომელნიც შესძლებენ ამ საქმეს. ეს არის საერობო კომიტეტები, რომელთა მოწყობა აღმასრულებელ კომიტეტებს ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ მთავრობას უთუოთ ექნება ცნობები, თუ როგორ წესიერად მიდის ამ კომიტეტების საქმეები, როგორ ხშირ-ხშირად იშლებოდენ ისინი და ამის მიზეზად ასახელებენ ბათუმის ამბებს, ანარქიას და სხვა.

გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ქუთაისის საერობო კომიტეტი, სამჯერ იქმნა დაშლილი და არჩეული, მთავრობის კატეგორიული მოთხოვნილებით. ასეთივე ბედი ეწვია გორის კომიტეტს, რომელიც ოთხჯერ დაშალეს და გადაარჩიეს რამოდენიმე თვის განმავლობაში. თუ რამდენად ნაყოფიერი იქნება ამ განახლებული კომიტეტების მუშაობა, ამის საბუთად საკმარისი იქნება გაგაცნოთ ის პასუხი, რომელიც გაუგზავნა გორის საერობო კომიტეტმა გორის ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტს, როდესაც ის შეეკითხა საერობო კომიტეტს საერობო მუშაობის შესახებ: „საარჩევნო მუშაობა გაგრძელდება ძველის წესით და შემადგენლობით, ხოლო არა სოციალური პარტიების და წარმომადგენელთა გამოკლებით“. როგორც ხედავთ გორის კომიტეტმა შესაძლებლად სცნო თავის ნებით გამოეცვალა მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია. ეს კომიტეტები სრულიად ვერ უზრუნველყოფენ საერობო არჩევნების წესიერად და მშვიდობიანად მიმდინარეობას, ყველაზე უფრო დაწყნარებულ რაიონებშიაც კი. სვირში სიკვდილით ემუქრებოდენ, და შემდგომ დაიჭირეს ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის წევრი და მოინდომეს მისი დაპატიმრება საერობო არჩევნების დასრულებამდე. ყოველივე ეს კარგათ უწყის სვირის სოციალ-დემოკრატიულმა

ორგანიზაციამ. ასეთს მყუდრო რაიონებშიაც შეიქმნა ისეთი სულიერი ატმოსფერა, როდესაც ამ საერთო და უპარტიო თვითმართველობის არჩევნებში ადგილი აქვს მუქარას, დაპატიმრებას და მოკვლის განზრახვასაც კი.

(ხმები მარცხნიდან: დაასახელეთ ვინ არის?) ეს გახლავთ სამხედრო პირი. პორუჩიკი დაეთ წიგნაძე. ამის შესახებ მასალები წარდგენილი იქნება სადაც ჯერ არს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დეტალია იმ წესის, როგორათაც დღეს სწარმოებს საერობო არჩევნები.

ბატონებო! დღეს მოწყობილიც რომ იყოს ის აპარატი, რომელსაც შეეძლება ამ არჩევნების წესიერათ წარმოება, ხომ საჭიროა ის სულიერი სიწყნარე, რომელიც შეაძლებინებს მოქალაქეთ დაინტერესდენ ამ მათთვის ჯერ უცნობი ინსტიტუტით. ხოლო დღეს, როდესაც მთელი საქართველო ანარქიით არის მოცული, როდესაც მან გადაათარა მრავალი მცნება და როდესაც ხდება მძლავრი გადატეხა ხალხის სულიერს ცხოვრებაში. განა შესაძლებელია ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება? თქვენ გაგებული გექნებათ, რომ ჩვენს ხალხს არავითარი ინტერესი არა აქვს მისი და უკვე წარმოებულ ინტერესებს უაღრესი აბსენტეიზმი ემჩნევა. არჩევნები ივლისში გადაიდვა „ტეხნიკური მიზეზების გამო“. ზოგიერთს რაიონში პირველს არავინ დაესწრო, მეორეს რამოდენიმე პირი და მესამედ დანიშნულს, ამომრჩეველთა მხოლოდ 7 პროცენტი. განა ასეთი ერობა ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი? არჩევნების მოწყობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა ჩააქრობს ანარქიას მომხსენებელმა სთქვა, რომ თუმცა ერობა ჯერ საქართველოში არ ყოფილა შემოღებული, მაგრამ ხალხი მას იცნობსო; რასაკვირველია იგი ხალხთან ახლოს არის, მაგრამ ეს ინსტიტუტი იმდენათ რთულია, რომ ხალხს იგი წინდაწინ უნდა გავაცნოთ, როდესაც ამომრჩევლობითი წესით იქნება სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია აუცილებლათ სავალდებულოა, რომ ხალხს ჰქონდეს ერთგვარი ელემენტალური შეგნებული დამოკიდებულება საქმისადმი. სამწუხაროდ ერობა ჩვენ არ შემოვიღეთ მაშინ, როდესაც ეს სავსებით შესაძლო იყო—რევოლიუციის პირველ თვეებში. უკანასკნელ დრომდე კიდევ იყო ამის საშუალება, მაგრამ აქამდე ჩვენ სულ სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციებს ვაწყობდით და საერობო საქმისათვის ვერ მოვიცალეთ.

მაგრამ კიდეც რომ გვქონდეს ადმინისტრაცია, წესრიგი და ხალხის ინტერესი, არის ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მიექცეს აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს ყურადღება, შეუძლებელია საქართველოში ერობა შემოვიღოთ თანახმად იმ დებულებისა, ნაკაზისა და ინსტრუქციისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა და რომელიც სრულიად არ შეეფერება ჩვენს პირობებს, საერობო თვითმართველობის მიზნებსა და დანიშნულებას. ეს დებულებანი უნდა გადასინჯულ იქნას ეროვნულ საბჭოს მიერ. ბევრი მუხლებია ისეთი, რომელთაც საბჭო მიიღებს, მაგრამ მრავალი სრულებით მიუღებელია. მე არ შევეხები არსებითად ამ დებულებას, ხოლო მივაქცევ თქვენს ყურადღებას ორიოდე მომენტს.

კომისარიატის საერობო კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს ყველას, ვინც არჩევნების დროს ამ რაიონში იმყოფება. როგორ ფიქრობთ ამ ზაფხულზე სურამის კურორტის დაბებმა, რომ საერობო თვითმართველობა შექმნან, აღჭურვილი იქმნენ თუ არა ის სათანადო ავტორიტეტით და ნდობით ადგილობრივ მცხოვრებთა თვალში შემოდგომაზე თუ ზამთარში, როდესაც ერობის ამომრჩევლები უკვე იქ არ იქნებიან? და ასეთმა ერობამ უნდა უპატრონოს ადგილობრივ სანმეურნეო საქმეებს.

არჩევნები საერობო დაწესებულებებში ხდება პარტიული ჯგუფური სიებით და ამ რიგად ადგილობრივი მცხოვრები იძულებულია ხმა მისცეს არა იმ პიროვნებას, ვინც მისი აზრით უფრო გამოსადეგია საქმისათვის, არამედ, რომელიმე პარტიულ წარმომადგენელს.

(ხმები მარცხნიდან: ვინ უშლის?) ხელს უშლის ის გარემოება, რომ მას არ შეუძლია თავისი ხმა მისცეს რამოდენიმე სხვა და სხვა რწმენის კაცს, არამედ ერთ რომელიმე სიას. საკანონმდებლო ფართე პოლიტიკურს არჩევნებისათვისაც მიუღებელია წესი. განსაკუთრებით შეუწყნარებელია საერობო საქმისათვის, სადაც ხალხი ამა ანუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიას კი არ უნდა აძლევდეს ხმას, არამედ უნდა ირჩევდეს ისეთ პირებს, რომელნიც კარგად უპატრონებენ მის ადგილობრივ საქმეებს. მას უნდა ჰქონდეს საშუალება ხმა მისცეს არა მარტო სოციალ-დემოკრატიულ, ან ეროვნულ-დემოკრატიულ სიებს, არამედ სხვა სიებში აღნიშნულ პირებსაც, ან სრულიად უპარტიო პირებს, თუ ისინი საქმისთვის გამოსადეგად მიაჩნია.

არ შემიძლიან თქვენი ყურადღება არ მივაქციო აგრეთვე იმ გარემოებას, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის საერობო კანონისა, სამხედრო პირები და ჯარები მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში საერთო წესით.

მე არ ვფიქრობ, რომ ამ ჟამად ასეთ აზრს აქ ვინმე იზიარებდეს.

ჯარის ჩარევა პოლიტიკურს დავასა და არჩევნებში—ყოვლად შეუწყნარებელია, და საერობო დებულება უნდა გადასინჯულ იქნეს თუნდაც მხოლოდ ამ ნაკლისათვის.

უდავოა, რომ ერობა დიდად საჭიროა. ეხლავ აქ აღნიშნეს ისიც, რომ ამ არჩევნებისათვის ბლომად ფული დაგვეხარჯაო. მაგრამ თუ ჩვენ ამ ჟამად არ შეგვიძლიან ისეთი ერობის შემოღება, რომელიც მართლაც ვერ შესძლებს დასახულ მიზნების სამსახურს და პატრონობას ვერ გაუწევს სოფელს, უნდა ვერიდოთ ასეთი ორგანიზაციების შექმნას. თუ დღეს არ შეგვიძლიან წესიერი ცხოვრების აშენება, უნდა მოვერიდოთ ამ ინსტიტუტის სახელის გატეხას ხალხის თვალში, რომ გაისად მაინც შეეძლოთ ნამდვილი ერობის შექნა. მარტო ის კი არ არის მხედველობაში მისაღები, რომ გაწეული ხარჯები და შრომა დაიკარგება, არამედ ისიც, რომ ეს ხარჯები არ დაიკარგოს და ამასთანავე კიდევ უფრო არ შევაფერხოთ და დავაზიანოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია სავსებით ადასტურებს თავის საკანონმდებლო წინადადებას და აღნიშნავს რა, რომ კომისიას არსებითად საწინააღმდეგო არაფერი წარმოუდგენია, საჭიროდ სცნობს მის მიღებას.

## რუსეთის მენშევიკები

რუსეთის ცხოვრებიდან იმდენათ მოწყვეტილი ვართ, რომ ძნელია იქ მომქმედ პოლიტიკური ჯგუფების შინაგანი ევოლიუციის და შინაგანი ცვლილების სისწორით წარმოდგენა.

ამას უშლის ხელს ის გარემოება, რომ ბალშევიკურ რუსეთში თავისუფალი აზრი დახშულია და ოპოზიციის პრესა აკრძალულია.

კერძოთ რუსეთის მენშევიკების შესახებ ცოტა ცნობები მოგვდის რუსეთიდან. საინტერესოა როგორ უყურებს რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას მენშევიკური სოციალ-დემოკრატია, რომელიც ასე დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოქტომბრის ბალშევიკურ გადატრიალებამდის.

ამას წინათ მომხდარა მენშევიკების სრულიად რუსეთის თათბირი.

მომხსენებლად გამოვიდნენ დანი, ლიბერი და მარტოვი. კამათის დროს სხვა და სხვა მიმდინარეობამ იჩინა თავი, განსაკუთრებით ე. წ. „ორიენტაციის“ საკითხის გარშემო.

უმთავრესად აღსანიშნავია ორი მიმართულება: „უორიენტაციო“ მიმართულება და მიმართულება ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციის.

როგორც ირკვევა პირველ მიმართულებას ასაბუთებდა დანი, ხოლო მეორეს—ლიბერი.

დანის აზრით, რევოლიუციის შველის პირობა მდგომარეობს რუსეთის ერთიანობის და დამოუკიდებლობის აღდგენაში. ხოლო ეს შეუძლებელია, სანამ ყველგან ანარქია მძვინვარებს და ყველაფერი ბალშევიკების ბატონობის განტკიცებას ეწირება. დღეს ხსნა შეიძლება ქვეყნის ყველა რევოლიუციონურ ძალთა შეკავშირებით. დანი ებრძვის როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციას და ფიქრობს, რომ უცხოეთის ხიშტის ჩარევით ათასწილათ გაუარესდება რუსეთის აღდგენის და განახლების პირობები.

ლიბერი კი სასტიკათ ილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ და შესაძლებლათ თვლის ერთგვარ შეთანხმებას ანტიგერმანულ კოალიციასთან. პროლეტარიატმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს რუსეთის განთავისუფლების და შეერთების საქმეში და ამავე დროს უნდა შეებრძოლოს კონტრ-რევოლიუციას. მას მთავარ ლოზუნგათ მიაჩნია შეერთება დემოკრატიის, რომელიც უცენტროდ დარჩა და დაიქსაქსა. ცენტრების როლს ანიჭებს არა საბჭოებს, არამედ თვითმართველობების ორგანოებს.

მარტოვი შეეხო რუსეთის სახელმწიფოებრივ დაშლას. რევოლიუციის და შემდეგ თაობის მთავარ დანიშნულებად მას მიაჩნია რუსეთის სახელმწიფოებრივობის ხელოვნური დაშლის მალე მოსპობა და მისი მთლიანობის ან დამოუკიდებლობის აღდგენა.

ასეთია, გაზეთების ცნობით მათი შეხედულება რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე. დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველებს ამის შესახებ, როცა კიდევ მოგვიგროვდება უფრო საიმედო მასალა და ცნობები. საინტერესოა იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ პირობებში წარმოუდგენიათ რუსეთის მენშევიკების ლიდერებს რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენა.

## უცხოეთი.

### საფრანგეთი.

პარიზიდან იუწყებიან, რომ მალვის განაჩენის გამოტანის გამო ხალხში აღელვება დღითი დღე იზრდება. პარიზის, რენესის, რუანის, ლიონის მუშათა სინდიკატებმა და სენის რადიკალურ სოციალისტურმა კავშირმა რომელნიც მალვის ემხრობიან, პროტესტი შეიტანეს, ითხოვეს განაჩენის გაუქმება და დოეს სასამართლო დევნის კონსტიტუციის რევიზია.

### გერმანია.

ბერლინიდან ცნობაა, რომ მთავარ სამხედრო შტაბში გელფერიხის ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის პოლიტიკის აღმოსავლეთის საკითხის გამოძიებისათვისო. ვიცე კანცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს გელფერიხმა მოხსენება წარუდგინა რუსეთის მდგომარეობის შესახებ და ამავე მიზნით იმპერატორისკენ გაემართა.

### ინგლისი.

ლივერპულის მატყლის ბირჟამ თავის წევრებს აუკრძალა გერმანიასთან რამე სავაჭრო დამოკიდებულება იქონიოს, ათი წლის განმავლობაში ზავის ჩამოგდების შემდეგ.

### შვეცია.

შვეციის მინისტრ-პრეზიდენტ ედენმა განაცხადა, რომ შვიციის მთავრობას განზრახული აქვს წინადადებით მიმართოს სახელმწიფოებს საერთაშორისო ომის დამთავრების და ხანგრძლივი ზავის ჩამოგდების შესახებ. როგორც კი მოსახერხებელი იქნება, მთავრობა იმწამსვე შეუდგება ამ საქმის კეთილათ დაბოლოვებასო.

### რუმინია.

რუმინიის სახელმწიფოს ვალი $5^1/_2$ მილიარდს უდრის. რუმინიის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გააბათილოს ებრაელთა მიმართ შეზღუდვის გამოტანილი დადგენილებანი.

ატმოსფერის ცვლილების გამო, გუშინ რადიო-დეპეშების მიღება შეუძლებელი შეიქმნა.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ მთავრობის დადგენილებით სამთო სამმართველომ შეიმუშავა გეგმა საქართველოს ტერიტორიის სისტემატიური და გეოლოგიური გამოკვლევისა. შესდგა ორი კომისია: ერთი, ინჟენერ ლ. კ. კანიშევსკის და ხიმიკოს მ. შალამბერიძის ხელმძღვანელობით, იმუშავებს ტყვიბულის და საჩხერის რაიონში ქვანახშირის და სხვა აღმოსაჩენათ, მეორე გეოლოგ ციცსაშვილის ხელმძღვანელობით, იმუშავებს გურიაში და კახეთში ნავთის აღმოსაჩენად და დასამუშავებლად.

○ მიწათ-მოქმედების სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული სათათბირო შეშის დამზადების და განაწილების გეგმის შესამუშავებლად. განზრახულია შეშის დამზადება მიენდოს სასოფლო საზოგადოებებს.

○ საბეითალო ბიუროს თავჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრთან, რათა მან აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ბეითალთა პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

○ თბ. მეორე კომერციული სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა სახელმწიფო კომერციულ სასწავლებლად.

○ გზათა სამინისტროში გუშინ დაიწყო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ გერმანიის მისია და ადერბეიჯანის წარმომადგენელნი.

### „ბალშევიკური“ მოძრაობა

○ ახალ სენაკიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ. „ზუგდიდის მაზრაში უკანასკნელ ძალღონეს იკრებენ აჯანყებულნი, რომელთაც შეუერთდნენ ლეჩხუმიდან გამოქცეული ბრბოები თავიანთ ინსტრუქტორებით. გადაწყეტილი აქვთ სასტიკი იერიში მიიტანონ გენერალ იოსებ გედევანიშვილის პარტიზანულ პოლკის წინააღმდეგ, რომელიც სენაკში ჩამოვიდა და პირველი სექტემბერიდან მოქმედებას შეუდგა ფართო სამხედრო გეგმით. გენერალ გედევანიშვილის სრულ განკარგულებაში გადავიდა პოლკოვნიკის სრესელის რაზმი და მთავრობის მთელი შეიარაღებული ძალა, რომელიც სენაკის და ზუგდიდის მაზრებში და სამურზაყანოს რაიონში მოქმედებს.

### ქალაქის თვითმართველობა

○ ხმოსანმა პართენ გოთუამ შეკითხვა შეიტანა ქალაქის საბჭოში: 1) ამ ბოლო დროს არ სდგება ქალაქის საბჭოს კრებები ხმოსნების დაუსწრებლობის გამო, 2) საბჭოს კომისიები სრულიად არ მოქმედობენ, 3) ხმოსანთა სიაში ითვლებიან უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოქმედობენ. 4) ბჭობა და საქმის წარმოება ქალაქის ორგანოებში სწარმოებს არა სახელმწიფო ენაზე, 5) ქალაქის საავადმყოფოები, ტრამვაი, ელექტრონის სადგური და სხვა უყურადღებოდ არიან მიტოვებული. ხმოსანი ეკითხება საბჭოს თუ რა რადიკალური ზომების მიღებას აპირებს ის ამ არა ნორმალურ მოვლენების წინააღმდეგ.

○ რწმუნებულობის ვადის გასვლის გამო მოხდა ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ს. ლომთათიძე (ს.-დ.) მის ამხანაგებად იაკჯიანი (დაშნ.) და თუმანიშვილი (ს.-რ.) საბჭოს მდივნათ ვ. ფ. ხახანოვი (ს.-დ.).

### საზოგადოებანი და კრებები

○ საქართველოს სომეხთა კავშირის საბჭო ამით აცხადებს რესპუბლიკის დაწესებულებათა მოხელეების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიათ ჩაეწერონ წევრებათ საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში. ჩაწერა შეიძლება დილის 10-12 საათამდე კიროჩნის ქუჩაზე ეკონომიურ საზოგადოებაში.

ყველა მოხელეს თან უნდა ჰქონდეს მოწმობა ვინ რომელ დაწესებულებაში მსახურობს.

ჩაწერის გასაადვილებლად სასურველია თითეულმა დაწესებულებამ შეადგინოს მოსამსახურეთა სია და გაგზანოს ერთი წარმომადგენელი ჩასაწერათ. თითოული წევრი იხდის 22 მან. წლიურ გადასახადს და პაის ფულს.

○ ქალაქის კავშირის ყრილობაზე ჩამოსულ წარმომადგენლებისათვის მომზადებულია ბინა სასამართლოს ქუჩაზე № 48. (ზუბალაშვილის სახლი), სადაც წარმომადგენლებს შეუძლიათ წასვლა პირდაპირ სადგურიდან.

### ერობა.

○ ერობის არჩევნები, ხაშურში გომში, ბორჯომში, ქარელში და გორში მოხდება 8 სექტემბერს. ამ რაიონებში ასარჩევია თითოში ხუთ-ხუთი ხმოსანი.

### ხელოვნება.

○ ხელოვნების კომისიამ ეროვნულ საბჭოში შეიტანა შემდეგი კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის დროშისა: 1) საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელი (შვინდისფერი) შავი და თეთრი და 2) დროშას შეადგენს თეთრი ბუნი ვაშლით და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ფერი) შავი და თეთრი თანასწორი ზოლები ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენენ ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

○ თბ. სამუსიკო საზოგადოებამ უკვე ჩაიბარა ქონება ყოფილ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.

### ბაქოს ამბები.

○ ბაქოში დიქტატურა გამოცხადდა. სათავეში დგანან ტიშკო და უმანსკი. მთელი ძალა უფლება მენშევიკებსა და მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერების ხელშია.

ბაქოს ახალი მთავრობა სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შუამავლობა გასწიოს ოტამანთა იმპერიის წინაშე, რათა ბაქოს ბედი მორიგების გზით დამთავრდეს და ამით ააცდინოს ქალაქი განადგურებისაგან.

საქართველოს მთავრობის რწმუნებულად ბაქოდან მოითხოვეს ის. რამიშვილი, რომელიც დაუყონებლივ ბაქოში უნდა გაემგზავროს მთავრობის ზოგიერთ დავალების და საკითხების გამოსარკვევად.

ბაქოში მყოფ ქართველების მდგომარეობის შესახებ ცნობაა, რომ ქართველები ქალაქში არავითარ შევიწროებას არ განიცდიან და გამოცხადებული მობილიზაცია მათზე არ ვრცელდება.

### ხოლერა.

○ უკანასკნელ ორ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 9 ხოლერიანი და 12 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 4. მორჩა და გამოეწერა 6. გარდაიცვალა 9 ხოლერიანი და 1 საეჭვო ავადმყოფი. 2 სექტემბერს სულ იყო 74 ხოლერიანი და 22 საეჭვო ავადმყოფი.

### სხვა და სხვა ამბები.

○ 2 სექტემბრს ი. რ. კურმანოვის ბინიდან ელისაბედის ქ. № 182 ბოროტ მოქმედებმა წაიღეს 6 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

○ გუშინ ჩამოვიდნენ თბილისში ოტომანის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელნი საქართველოში აბდულ ქერიმ ფაშა და იმავე მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სამხრეთში მამედ ალი ფაშა.

○ გუშინ დაიწყო კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირი რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მოწესრიგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

○ საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა გიორგი არუთინოვის ბინაზე 1500 ფუთი მიმალული მარილი.

○ გადადგა გორის ქალაქის თავი რობაქიძე. მის გადადგომას მხარი დაუჭირეს ყველა ფრაქციებმა, გარდა დაშნაკელებისა, რომელთაც სთხოვეს ქალაქის თავს დარჩენილიყო. მათი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

○ კოოპერატივთა კავშირის გამგეობა მომავალ კვირას ფოთიდან გზავნის გემს თამბაქოთი, ღვინით და ბორჯომის წყლით დატვირთულს. ეს გემი შეივლის—ტუაფსეს, ქერჩს, ოდესას, მარიოპოლსა და ბერდიანში. იქიდან გემი წამოიღებს პურსა და სხვა და სხვა სურსათს.

○ ამ დღეებში მიემგზავრება ბერლინში ეკონომიურ კომისიის წევრი, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი გ. ნიკოლაძე.

○ თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ: უკანასკნელ დღეებში გახშირდა ტელეფონის აპარატების დაზიანება, რაც იწვევს აბონენტების უკმაყოფილებას და ჩივილს. ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მიზეზი ზოგიერთ-ტელეფონის არა ნორმალურ მოქმედებისა მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქში არ იშოვება ბენზინი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაზიანებელ კაბელების შესაკეთებლად. ჩემ მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ბენზინის საშოვნელად და ყველა დაზიანებული ტელეფონების დაუყონებლივ აღსადგენად.

## ნავთი კახეთში.

კაცმა რომ თვალი გადაავლოს კახეთის მიდამოს იტყვის, მართლა, რომ განგებას თვისი სიმდიდრის კალთა აქ დაუბერტყიაო. ბუნების სიმშვენიერის გარდა, რომლის წარმტაც სანახაობას არა ერთი და ორი უცხოელი მოუხიბლავს, აქ მოიპოვება დიდძალი სიმდიდრე, როგორც კავკასიონის ქედის სიღრმეში, ისე გომბორის მთის კალთებზე.

ვის არ გაუგონია ართანის (ყარალაანთეული) სპილენძის მადანი, რომელიც რამდენიმე ათ ვერსს შეიცავს და უცხოელ კაპიტალისტებს არა ერთხელ მიუციათ დიდძალი ფული პატრონისათვის, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს მადნიანი ადგილები სხვისთვის არ გადაეცათ. ვის არ უნახავს შაქრიანის ახლოს, როგორ შადრევანივით გადმოჩუხჩუხებს გოგირდის წყარო, რომელიც უტყვად მოწმობს მის მიდამოებში გოგირდის არსებობას, ეს ხომ ფაქტია რომ შილდის მთებში სპილენძის გარდა ოქროს ნიშნებიცაა, ალაზან გამოღმა მატნის მიდამოებში (ჩოლოყაშვილეულ მამულში) ლიტოგრაფიული ქვების მთელი გორებია, რომლის თვისებას დამტკიცებულია პირველი ადგილი უჭირავს არა თუ ევროპაში, არამედ მთელ დედამიწაზე ბრაზილიის გარდა და სხვ, რომლის დაწვრილებითი აღწერა ჩემ საგანს არ შეადგენს, ეს სპეციალისტების საქმეა და დარწმუნებელი ვარ დაუდგება თუ არა დამოუკიდებელ საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრება მალე გამომჟღავნდება ამ მადნეულობის შუაგულის საიდუმლება და ყველა დარწმუნდება, რომ მართლა და აქამდე ჩვენს ტურფა საქართველოს პატრონი არა ჰყოლია.

რაც შეეხება ნავთიან ადგილებს, რომლებიც მრავლად მოიპოვება გომბორის მთის კალთებზე, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო.

დიდი ხანია ცნობილია რომ უტყუარი ნავთის ადგილებია ზემოხოდაშნის თავში (წერეთლისეულ) საბელში, ილდაკანში (ჩოლოყაშვილის და ჩხეიძისეულ მამულებში) და შუამთის მონასტრის ტყეში.

ზემოხოდაშენში არა ერთხელ მოსულან უცხოელი ამხანაგობა და ცხადუყვიათ ამ ადგილებში ნავთის უტყუარი ნიშნები. რაც შეეხება ილდაკანს აქ უკვე მუშაობდა ორი ამხანაგობა. წინედ ერთი ფრანგებისა, რომელთაც დადგეს ბურაოები და შემდეგ თავი დაანებს, რაღაც კომერციული საიდუმლების გამო და მეორე ინგლისელებისა. ესენი ღრმად დარწმუნდნენ, რომ ილდაკანის ნავთიანი ადგილები თავისი თვისებით და სიმდიდრით არა თუ ჩამოუვარდებოდა ბაქოსას, არამედ სჯობდა კიდეც. მათ დადგეს „ბურაოები", ააშენეს მკვიდრი და ფართო შენობები, მალე მთელი მიდამოები ელექტრონით გაანათეს და დარწმუნებული იყვნენ რომ მალე შადრევანი დაჰკრავდა, მაგრამ უსწრო მსოფლიო ომმა, მოესპოთ ინგლისიდან ფულის მიღება, და შესწყდა მიმოსვლა, გაძვირდა ყველაფერი და ამათაც დროებით თავი დაანებეს მუშაობას.

საცა ბურაოები დადგეს და ისეც (საკმარისია ორმო ამოითხაროს რომ მაზუთმა ჟონა დაიწყოს) იმდენი მაზუთი იკრიფება, როგორც ჭაში წყალი, რომ დღეში რამდენიმე ასი ფუთი შეიძლება თამამად ამოიღონ თურმე. მაზუთი მეტად კარგი თვისებისაა და ბევრით აღემატება ბაქოსას. დიდიხანია ახლო მახლო სოფლელები მიეზიდებიან აქედან ბოჩონკებით და ნავთის მაგივრად ეს უნთიათ ლამფაში. სინათლე კარგი აქვს, მხოლოდ სუნს უშვებს.

ეხლა, როგორც ვიცით, ჩვენმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ ილდაკანის ნავთს და მალე დაიწყობს კიდეც მუშაობას.

დონ.

## სიმშილი.

I.

საქართველოში—სიყმილი, ანუ შიმშილი, როგორც მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში" სრულ ხშირად სცოდნია ხოლმე. ამის მიზეზები მრავალია. მათი განხილვა შორს წაგვიყვანდა.

ამ უბედურების ისტორიის მასალები „ქართლის ცხოვრებაში" იმოდენია, რომ იქიდან ამის შესახებ მთელი წიგნი დაიწერება. ჩვენ კი მარტო ამ სენის და სატკივრის ისტორიის შესახებ მარტო ერთის თვალის გადავლებით ვსწერთ.

ძველის საუკუნოების სიმშილს ჩვენ არ ვეხებით. ჩვენ სახეში გვაქვს მარტოთ XVIII საუკუნე. აქედან ვიწყებთ ახალს ანუსხვას, ჩვენის მატიანის თქმით, XVIII საუკუნეში, ყველაზედ უფრო მძლავრი სიმშილი აი როდის ყოფილა:

„1757 წ. იქმნა ფრიად სიყმილი ერთა, რომელ ერნი იზრდებოდნენ მდელოთა და განიბნივდნენ მრავალნი მცხოვრებნი საქართველოსანი უცხოთა ადგილთა შინა".

„1796 წ. იქმნა სიყმილი ფრიადი, ვითარცა საქართველოსა შინა ეგრეთვე განჯა-ყარაბაღსაცა, ამიტომ აღიყარნენ მრავალნი მუნით და დასახლდნენ კახეთსა და სხვაგანაც". ამ საუკუნის შესახებ ეს ორი ცნობა მოგვყავს, ესეც დიდი შიმშილობის შესახებ. ახლა გადავალთ XIX საუკუნის სიმშილობის შესახებ. ჩვენის ისტორიის წყაროების ცნობებით, ამ საუკუნეში აი როდის უფრო ყოფილა დიდი შიმშილობა:

1808 წ. „იქმნა სიყმილი დიდი, რომლით მოისრა უმეტეს ნახევარი იმერეთი.

1811 წ. იქმნა იმერეთში დიდი სიყმილი. ასე გადმოგვცემენ:—„1811 წ. იყო ფრიად დიდი სიყმილი იმერთა შინა და სწყდებოდნენ მრავალნი".

1812 წ. იქმნა ფრიად დიდი სიყმილი საქართველოსა შინა და იმერეთსაცა და ჭირიცა ფრიად განგრძელებულიყოს".

ჩვენი მატიანის თქმით ევროპაში აი რა მომხდარა:

1817 წ. რუსეთის სანემეცო ქვეყნებში მომხდარა დიდი სიყმილი თუ შიმშილი, რაისა გამო ნემეცების რამდენიმე ასი კომლი საქართველოში გადმოუსახლებია და 1818 წ. დაუსახლებიათ საქართველოში, რამდენსამე სოფელში, რომელთაც საქართველოში მათ კოლონისტები ეწოდებოდა.

„1820 წ. ქართლსა და კახეთში იქმნა სიყმილი ფრიად დიდი, კოდი პური ისყიდებოდა ოთხს მინალთუნათ".

„1821 წ. იყო კახეთსა და ქართლსა და სხვაგანაც იყო სიმყილი ფრიად დიდი".

XIX საუკუნის სიმშილის აღსანიშნავათ ჩვენ ეს ვიკმაროთ. ახლა აღვნუსხავთ იმასაც თუ საქართველოში სიმშილი რა და რა შემთხვევების შემდეგ ჩნდებოდა. ეს საჭირო არის ჩვენთვის, რომ გავითვალისწინოთ დღევანდელი სიმშილის ვითარება და ჩვენ შინაურ მტერთან ბოროტებანიც.

საქართველოში შიმშილი ხდებოდა აი როდის და როგორ;

ხანდისხან მოხდებოდა ხოლმე ისე, რომ საქართველოს ერთ რომელიმე მხარეში გამუდმებით, ანუ სამი, ოთხი, ხან ხუთი ექვსი და შვიდი წლის განმავლობაში, ზედი-ზედ პური არ მოდიოდა. იყო ასეთი შემთხვევებიც, რომ ერთ წელიწადს ყანას სიცხეები ვნებდა, მეორე წელიწადს ქარი, მესამე წელიწადს დიდი წვიმები, ხან კიდევ სხვა რამე.

შიმშილი იქამდის მიაღწევდა, რომ „ერი მდელოთი იზრდებოდა" ასეა მოხსენებული, სწორეთ ამ სიტყვებით ჩვენს ძველს წიგნებში. იმ დროს, როცა რომელიმე კუთხეში მოსავალი არ იყო და შიმშილობა ჩამოვარდებოდა.

რაკი შიმშილი თავს იჩენდა და ერი დაიწყებდა ამისთვის დრტვინვას, მაშინათვე ამ კუთხის ერისთავი და მოურავი ნებას ილებდნენ მეფისაგან მოწმობით და ესენი საქართველოში მიმართავდენ იმ კუთხის ქართველებს, რომელთაც იმ წელიწადს თუ კარგი მოსავალი არა, მცირე მაინც ჰქონდათ.

სამეფოს შემოწმების ნება-რთვის ძალით ერისთავ-მოურავნი ისესხებდენ რამდენსამე ურემს პურს, ქერს, სიმინდს, ფეტვს, ლობიოს და სხვა ასეთებსაც, ნასესხებს შეკრებდენ ერთათ და გადმოიტანდენ დამშეულ რაიონში. მართალია, მაშინაც იყვნენ სოფელში ისეთი ოჯახები, რომელნიც ამ ნასესხების პურით ვერ ისარგებლებდენ, რადგანაც ხორბალი სესხათ ეძლეოდათ ისეთ ოჯახის შვილებს, ვისაც გადახდა შეეძლოთ, რომელთაც ამის შეძლება არ ქონდათ, ისინი შთებოდეს უსესხოთ, ე. ი. მაშინდელი სოფლის ბოგანო და პროლეტარნი ესენი იყვნენ.

წინათ დახმარება უფრო იცოდენ ერთიერთმანეთის; დღეს ეს ნაკლებ იციან. გლეხები დღეს უფრო ჰყიდიან ძვირათ ხორბალს ან ორმოებში ინახავენ. სესხება თანდათან იშვიათი ხდება. ახლანდელი და მაშინდელი პირობები განსხვავებულია.

ძველად დახმარება იცოდენ, მეტი პურმარილიანობა იყო, განსაკუთრებით კერძის მოხარშვით, და სხვ. დროს.

თბილისის ქალაქის უბნის მცხოვრებთა შორის, ასეთი წესი და ჩვეულება იყო.

თუ ვინიცობაა გაიმართებოდა ნადიმი, წვეულება, ან სხვა ამგვარი, მაგალითად ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა, ნამეტურ ქელეხი, ანუ ალაპი, უსათუოდ ახლო-მახლო უნდა მოეძებნათ ხელმოკლე შეუძლონი და მათთვის უნდა მიეწოდებინათ თვისის სუფრიდამ კერძი და პური. ღვინის მიწოდებაც იცოდენ დოქით.

ასეთივე ჩვეულება იცოდენ ბევრგან აღების ღამეს და სხ. ასეთ დღეებში. ნივთიერათ დღევანდელი მდგომარეობა ქართველის ერისა აუტანელია, გონს მოუსვლელი. საქართველოს ესეთი რისხვა ჯერ არ განუცდია, ეს არის პირველი უბედურება და სულის და გულის აღმაშფოთებელი პირობანი.

ვინც კი თბილისის ქალაქის მიდამოებში მიიხედ-მოიხედავს, იგი აქ შენიშნავს დიდს საცოდაობების სურათებს, დიდის ვაებით სავსე ნაღველას გაჭირვებულთა ცხოვრებაში.

## უმთავრეს სახელმწიფოთა ღერბები.

გ ე რ მ ა ნ ი ა.—ერთ-თავიან შავი არწივის მკერდზე ოქროს ფარი, ზედ გამოსახულია პრუსიის არწივი, რომლის მკერდზე დახატულია ჰოჰენცოლერნთა ღერბი, ფარს შავი არწივის ორდენები ჯაჭვივით ავლია გარს.

ი ნ გ ლ ი ს ი.—ოთხ ნაწილიანი ფარი; პირველ და მეოთხე მეწამულ ნაწილებზე სამი ოქროს ჯიქი (ვეფხვის მგზავსი ცხოველი). ოქროვან მეორე ნიწილზე წითელ ფეროვანი ლომი, მესამე—ლაჟვარდოვან ნაწილზე,—ოქროს ქნარი. ფარი შემოვლებულია ლეკვერთხის ორდენით.

ჩ რ დ ი ლ ო ა მ ე რ ი კ ი ს შ ტ ა ტ ე ბ ი.—ბუნებრივი ფერის არწივი, რომელსაც კლანჭებში ზეთის ხილის შტო და ისრები უჭირავს. არწივის მკერდზე ლაჟვარდოვანი ფარია, რომელიც ვერცხლისა და წითელი ფერის 13 სვეტით არის დაყოფილი.

ა ვ ს ტ რ ი ა.—სამი გვირგვინით დაგვირგვინებული შავი ორთავიანი არწივი, რომლის მკერდზე ორჯერ განკვეთილი ფარია, ოქროს ვერძის ორდენების ჯაჭვით შემოვლებული.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.—ლაჟვარდოვან ფარზე ოქროს ასოები R. F. (საფრანგეთის რესპუბლიკა).

ე ს პ ა ნ ი ა. ოთხ ნაწილოვან გამწვეტიანებულ ფარზე პატარა ფარი სამი მოოქრული ზამბახის გამოსახულობით.

ო ს მ ა ლ ე თ ი. ვერცხლოვანი ნახევარი მთვარე და შიგ ვარსკვლავი.

ჩ ი ნ ე თ ი. ყვითელი გველეშაპი ხუთი ბრჭყალით.

ი ტ ა ლ ი ა. წითელ ფარზე ვერცხლის პირდაპირი ჯვარი.

უ ნ გ რ ე თ ი. განკვეთილი ფარი; მარჯვენა ვერცხლოვან ნაწილზე სამი წითელი სარტყელი, მარცხენა მეწამულ ნაწილზე გვირგვინიდან თავამოყოფილია თავიანი ჯვარი.

(შემდეგი იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### სტატისტიკა გარდაცვალებულთა და ომში დახოცილთა.

„Kaukasische Post"-ს მოჰყავს ნიუ-იორკის გაზეთის „Sun" ცნობები მთელ დედამიწაზე გარდაცვალებულთა და ომში დახოცილთა რაოდენობის შესახებ. ყოველ წლობით, ამბობს დასახელებული გაზეთი, მთელ დედამიწაზე ჰკვდება 43,640,000 სული, რაც შუათანა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ შეადგენს 120.000 დღეში. შედარებით ამასთან ბრძოლის ველზე მოკლულთა რიცხვი მცირეა. ყოველ ერთ ჯარის-კაცზე, რომელიც ბრძოლის ველზე კვდება მოდის ავადმყოფობის, მოხუცებულობის, თუ უბედურ შემთხვევის გამო 22 გარდაცვალებული არა სამხედრო წოდების წრიდან"...

—

### პეტროგრადის ოკუპაცია.

გაზ. „პოლიტიკენი" სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ გერმანიის მმართველ წრეებში სერიოზულად მუშავდება პეტროგრადის დაკავების გეგმაო.

—

### შიში მოსკოვში.

მოსკოვში ხმებია გავრცელებული, რომ ბალშევიკებმა კრემელსა და ყველა საუკეთესო შენობებს ასაფეთქებელი ღარები მოუწყვეს, რათა თუ ბალშევიკებს რაიმე საფრთხე დაემუქრება, აფეთქება მოაწყონ, ამის გამო მცხოვრებნი აუტანელ შიშს განიცდიან.

## განცხადებები


სისხ. სამ. საქმ. წარმ. წესდ. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, სარევოლიუციო ტრიბუნალის დადგენილებით, ეძებენ დიმიტრი ივანეს-ძე ჯანაშვილს 36 წლისას, რომელიც ცხოვრობდა ქ. თბილისში, რუსულ ქუჩაზე, და რომელსაც სასჯელთა დებულების მე-9 და 1455 მუხ. I ნაწ. მოხსენებულ დანაშაულის ბრალი ედება. დაკარგულის ნიშნებია: შუათნატანისა, შავგვრემანია, პირს იპარსავს, იცვამს სხვა და სხვა გვარად. ყველა ვინც იცის დიმიტრი ჯანაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს.

ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 1918 წ. 31 აგვისტო.

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 2 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სერგი ნიკოლოზის-ძე ნახიმოვმა მიჰყიდა პალაიოტ მიხეილის ძე კიახიდის მიწის ნაჭერი ქ. ახალ-გაგრაში, ზომით 130 ოთხკ. საჟ. 2990 მან. სიგელი შედგენილია გაგრის ნოტარიუს-ლებედინსკისთან.

---

რაბინი აბრაამ ხვოლისი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: პიროვნების მოწმობა ცხინვალის მეორე კოოპერატივის „იმედი-"ს დამტკიცებული წესდება. ხსენებული საბუთები დღეიდან გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს.

---

ქ. თბილისის სასამართლოს მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ იბრაგიმ აჯი-მუსატაფა ოღლი ხალილოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ხალილოვის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილი ვადაში. 3—2

---

დაიკარგა შემდეგი საბუთები მიცვალებულის ექიმის მარიამ ივანეს ასულის კამინსკის სახელზედ:

ა) ბილეთი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის № 7018 6 ივნისს 1908 წ. 5400 მან., ბ) იმავე კანტორის მოწმობა შენახვისა მოსაგები ბილეთისა მეორე შინაური სესხისა № 07963/9; გ) შესანახავის წიგნი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის კასსის № 34171, დ) საანგარიშო წიგნაკი პროცენტიან ქაღალდებისა იმავე კანტორის კასსისა № 7901 სახელმწიფო 4% რენტის—4350 მან. და ჯარიანობის შინაგანი 5% სესხის 1915 წლ.—1600 მან. მემკვიდრე მარიამ ივანეს ასულის კამინსკის.

ეკატერინე ივანეს ასული გამყრელიძე

3—3

---

## სასურსათო საქმის სამინისტრო

იწვევს პირთ, რომელთაც შეუძლიან მოაწოდონ სამინისტროს რვაასი ათასი (800.000) ფუთი კრისტალური (მარცვლოვანი) მარილი. ამის შესახებ მსურველმა უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 სექტემბრისა შუადღის 12 საათამდე. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული: 1. სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მსურველისა. 2. მარილის ხარისხი და ალაგი მისი შესყიდვისა. 3. დრო, თუ როდის იქნება შეტანილი მარილი. 4. ფასი „ფრანკო ვაგონი" საქართველოს რკინის გზის. 5. პირობები ფულის გადახდისა. აგრეთვე მიიღება განცხადებები ნაწილობრივ, არა ნაკლებ 100.000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ. ცნობებს პირობების შესახებ იძლევა სამინისტროს კანცელარიაში მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ადანაია.

სასურსათო საქმის მინისტრი ლორთქიფანიძე.

მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ადანაია.

3—2


მთავრობის სტამბა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.